2011 წელი, 19-25 მაისი
ფასი 1 ლარი

ახალი განათლება

№19 (533) გამოდის 1998 წლიდან
www.axaliganatleba.ge

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილია მეორემ აბიტურიენტები დალოცა, სტუდენტობის მსურველებს გამოცდების წარმატებით ჩაბარება უსურვა და სპეციალურად მათთვის იქადაგა.

გთავაზობთ ამონარიდებს მისი ქადაგებიდან:

„ახალგაზრდები ბრძანდებით ისეთ ასაკში, როცა ყველაფერს აიდეალებთ და ძალიან ითლად უყურებთ ცხოვრებას. როცა იმედები ვერ სრულდება, სასოწარკვეთილებაშივარდებით. ახლა თქვენ ცდილობთ, გახდეთ სტუდენტები. გისურვებთ, ყველანი მოეწყოთ. მაგრამ კიდეც რომ ვერ მოეწყოთ, არ უნდა გაგიტყდეთ გული, ეს ტრაგედია არ არის, სხვაგან მოეწყობით, არის უამრავი ხელობა, რომლის შესწავლაც შესაძლებელია.

არსებობს სხვადასხვა ხელობები და მათ შეუძლიათ, აკეთონ ის საქმე, რაც უყვართ. საპატრიარქოში მირიანისა და ნანას ქვის საფლავები კეთდება და მსურველებს შეუძლიათ მივიდნენ და ქვის ჭრა ისწავლონ.

ადამიანის ცხოვრების გზა რთული პროცესია. მთავარი ისაა, რომ ადამიანმა სწორი გზა აირჩიოს. უფალი ბრძანებს, მე ვარ გზა ჭეშმარიტებისა და სიცოცხლე, როცა ადამიანი მორწმუნეა, როცა ლოცულობს, ალსარებას ამბობს და ზიარებას იღებს, უფალი უხსნის მას გონებას და ამ შემთხვევაში ის სწორ გზას ირჩევს.

სკოლებში აუცილებლად უნდა შემოვიდეს საგანი, როგორიც დედაენა, არითმეტიკა, ქიმია, ფიზიკა, ისე, განყენებული ანალიტიკური აზროვნების კურსი. ჩვენ სკოლის დამთავრების შემდეგ მივიღებთ განათლებულ და ღრმად მოაზროვნე ადამიანს. ჩვენ დავიწყეთ ამაზე მუშაობა, ეს არც ისე ადვილია. აქ უნდა იყოს გამოყენებული ლოგიკა, ფსიქოლოგია, ანთროპოლოგია, ფილოსოფია და სხვა."

ილია II-ის თქმით, ანალიტიკური აზროვნების კურსი უნდა მოიცავდეს როგორც თეორიას, ასევე პრაქტიკულ მაგალითებს.

საერთაშორისო კვლევა

პროგრესის შეფასების უნიკალური შანსი

გვერდი 2

მოსწავლეთა ნაშრომებით თვალსაჩინოდ რეალიზებული მეცნიერული იდეები

13 მაისს, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში", „ჩაღლარის" საგანმანათლებლო სასწავლებლების ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა მე-5 საერთაშორისო ოლიმპიადა ჩატარდა, საქართველოს პრეზიდენტის **მიხეილ სააკაშვილის** და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის **დიმიტრი შაშკინის** მხარდაჭერით. ოლიმპიადა საზეიმოდ გაიხსნა. აღსანიშნავია, რომ „ჩაღლარის" საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სადაც 2150 მოსწავლე და სტუდენტი სწავლობს, ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა საერთაშორისო გამოფენა ყოველ წელს ეწყობა და მოსწავლეთა მეცნიერებით დაინტერესებას ისახავს მიზნად.

ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა საერთაშორისო ოლიმპიადა პირველად 2006 წელს ჩატარდა და კონკურსში გამარჯვებულები, პირადად, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დააჯილდოვა. 2009 წელს ოლიმპიადაში – 22 ქვეყნის, 2010 წელს – 28 ქვეყნის, ხოლო წელს 30 ქვეყნის 154-მა კონკურსანტმა მიიღო მონაწილეობა.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო პროექტები: ფიზიკის, მათემატიკის, ქიმიის დარგებში. აღსანიშნავია, რომ კონკურსანტებს თავიანთ გამოგონებებში ძირითადი აქცენტი ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე ჰქონდათ გამახვილებული. დამთვალიერებლები გაეცნენ საუკეთესო, ორიგინალურ პროექტებს და მათ ავტორებს.

გვერდი 3

ერთი სიმართლეს ეძებს, მეორე გასცემს, „ყველაფერს სამი აკეთებს"

დღევანდელი ნომრის სტუმარია კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მსახიობი **ზურაბ სტურუა**

გვერდი 6

C M Y K

საერთაშორისო კვლევა

პროგრესის შეფასების უნიკალური შანსი

გამოცდების ეროვნული ცენტრი, 17-18 და 19 მაისს, ორ მასშტაბურ საერთაშორისო კვლევას – კითხვის უნარის განვითარების საერთაშორისო კვლევა (PIRLS) და მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების კვლევა (TIMSS) – იწყებს. წიგნიერების საერთაშორისო კვლევა ხუთ წელიწადში ერთხელ ტარდება და მასში 53-მდე ქვეყანა – 5000-ზე მეტი მოსწავლე – მონაწილეობს. მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების კვლევა კი – ოთხ წელიწედში ერთხელ და მასში მონაწილეობს 80-ზე მეტი ქვეყანა – 10 000 -ზე მეტი მოსწავლე.

საერთაშორისო კვლევების მიზანი სასწავლო პროცესის შეფასება და დაშვებული ხარვეზების გამოვლენაა. აღნიშნული კვლევები კარგი საშუალებაა იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემა სტანდარტებს შევადაროთ და პროგრამაში მონაწილე სხვა ქვეყნების მიღწევები გავითვალისწინოთ. საქართველოს, კვლევის ამ მეორე ეტაპის დასრულების შემდეგ, შედეგების შედარებისა და პროგრესის შეფასების საშუალება ექნება.

8 მაისს, სასტუმრო „ბომონდ-გარდენში“ გამართულ სემინარზე (ინფორმაცია იხ. „ახალი განათლება“, №18), გამოცდების ეროვნული ცენტრის კვლევის ჯგუფის ხელმძღვანელმა **ია კუტალაძემ** სწორედ ამ ორი კვლევის შესახებ ისაუბრა:

ძალიან მნიშვნელოვანი აქტივობა იწყება – ორი საერთაშორისო კვლევა, რომელშიც საქართველო მონაწილეობს. პირველი – წიგნიერების საერთაშორისო კვლევა, რომელიც აფასებს 9-10 წლის მოზარდების კითხვის უნარს და მეორე – მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების კვლევა, რომელიც აფასებს IV და VIII-კლასელთა ცოდნას მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში.

პირველად ამ საერთაშორისო კვლევებში მონაწილეობა 2006-2007 წლებში მივიღეთ. მაშინ ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილება იქნა მიღებული და საკმაოდ თამამიც, რადგან ამ კვლევებში 70-მდე ქვეყანა მონაწილეობს. შედეგებს გარკვეული პოლიტიკური დატვირთვაც აქვს. ჩვენი ცენტრის ინიციატივა იყო, ჩავრთულიყავით კვლევებში, განათლების სამინისტრომ მხარი დაუჭირა ამ ინიციატივას. პირველი კვლევა 2006 წელს ჩატარდა, რომელშიც საქართველოდან 5000 მოსწავლე და, დაახლოებით, 150 სკოლა იყო ჩართული. შეფასდა მოსწავლეთა კითხვის უნარი, წიგნიერება, მათი კითხვისადმი დამოკიდებულება. კვლევა მიზნად ისახავს არა მხოლოდ მოსწავლეთა მიღწევების შეფასებას, არამედ იმ ფაქტორების დადგენას, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლის კითხვის უნარის განვითარებაზე.

გავლენას კი, ცხადია, ახდენს: მასწავლებლის კვალიფიკაცია – როგორ ასწავლის, რა სტრატეგიებს იყენებს, როგორია სასკოლო რესურსი, ბიბლიოთეკა, როგორ არის ორგანიზებული სასწავლო გეგმა, ინვესტიცია, რომელიც იდება განათლების სისტემაში და სხვ. ყველა ეს ფაქტორი გავლენას ახდენს მოსწავლის სწავლაზე. ამიტომაც არის ეს კვლევა ძალიან მნიშვნელოვანი. მის საფუძველზე შეიძლება სასწავლო პროცესში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირება, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და რეკომენდაციების შემუშავება, სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად.

წიგნიერების საერთაშორისო კვლევამ აჩვენა, რომ ქართველი ბავშვების მიღწევები საკმაოდ მოკრძალებულია და სტატისტიკურად მნიშვნელოვნად ჩამორჩება საშუალო საერთაშორისო მაჩვენებლებს. ჩვენი მოსწავლეების 18 პროცენტი ვერ წყვეტს ყველაზე მარტივ დავალებებსაც კი. ამ კვლევაში გამოყოფილია საფეხურები: უმაღლესი, მაღალი, საშუალო და საშუალოზე დაბალი. დაბალი საფეხურის დავალებები გულისხმობს მარტივი დავალებების გადაწყვეტას, ვთქვათ, ტექსტში მოცემული ინფორმაციის ამოკრეფას. ჩვენი მოსწავლეების 18 პროცენტი ამ ტიპის დავალების გადაწყვეტასაც კი ვერ ახერხებდა. კვლევის ანგარიში ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა შეიძლება იხილოს – „წიგნიერება 2006 საქართველოში“. მასში დეტალური და საინტერესო ინფორმაციაა მოცემული.

რაც შეეხება მეორე კვლევას, რომელიც 2007 წელს ჩატარდა მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების შესაფასებლად, საერთაშორისო მასშტაბის იყო და მასში ჩართული იყო ნახევარი მილიონი მოსწავლე. მონაწილე სახელმწიფოთა ჩამონათვალიც მრავალფეროვანი იყო: აშშ, იაპონია, ლიტვა, ლატვია, ჰონკონგი, კატარი, უნგრეთი, ირანი და ა.შ. კვლევის შემდეგ, მოსწავლეთა მიღწევების მიხედვით, დგება რეიტინგული სია. ისევე როგორც წიგნიერების კვლევის შემთხვევაში, ქართველმა მოსწავლეებმა ძალიან მოკრძალებული შედეგები აჩვენეს და ბევრად უფრო ცუდიც, განსაკუთრებით – საბუნებისმეტყველო საგნებში. ამ კვლევის ანგარიშიც შეფასების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადდა.

გარდა იმისა, რომ ეს შედარებითი კვლევებია და სხვადასხვა ქვეყნის მონაცემებს ვადარებთ ერთმანეთს, ტარდება ციკლურად, ყოველ ოთხ ან ხუთ წელიწადში ერთხელ. წელს ორივე კვლევა ტარდება და გვეძლევა უნიკალური შანსი, შევაფასოთ ჩვენივე პროგრესი, ანუ შევადაროთ 2006-2007 წლის მონაცემები 2011 წლის კვლევების მონაცემებს. ამ პერიოდში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები როგორც სრუქტურული ხასიათის, ისე სასწავლო პროგრამებში. ძალიან საინტერესოა, როგორ აისახა ეს მოსწავლეთა მიღწევებზე.

გარდა ამისა, კვლევა საშუალებას მოგვცემს, გავიზიაროთ საერთაშორისო გამოცდილება, ვნახოთ როგორ და რას ასწავლიან და გამოვიყენოთ ის, რაც რაციონალურია, მნიშვნელოვანია, რაც არსებითად დადებით გავლენას ახდენს სწავლის პროცესზე და ზოგადად სწავლებისა და სწავლის პროცესზე. გამოვიყენოთ იმისთვის, რომ გავაუმჯობესოთ საკმაოდ დამაფიქრებელი შედეგები, რომლებიც წინა კვლევებმა მოგვცა. ეს არის მართლაც მნიშვნელოვანი კვლევები, რომელსაც მსოფლიო დიდ ყურადღებას უთმობს. საილუსტრაციოდ ბარაკ ობამას მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ – საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლებთან შეხვედრაზე წარმოთქმული მისი სიტყვა სწორედ ამ კვლევების შედეგებზე იყო ორიენტირებული, აშშ-მ კვლევაში საშუალო შედეგები აჩვენა. უკანასკნელ წლებში კვლევებში აზიური ქვეყნები ლიდერობენ: სინგაპური, იაპონია, კორეა. მოგეხსენებათ, ა.შ.შ. მიჩვეულია პირველობას და ამიტომაც იქცა სერიოზული განხილვის საგნად, რა ხდება ისეთი, რომ ამერიკელ ბავშვებს ცუდი შედეგები აქვთ. ყველა ქვეყანა პოლიტიკურ დონეზე განიხილავს ამ კვლევის შედეგებს. მაგალითად, სლოვენიამ, ჰონფკონგმა და ბევრმა სხვა ქვეყანამ ძალიან ეფექტურად გამოიყენეს კვლევის შედეგად გამოვლენილი ხარვეზები. მაგალითად, ჰონგკონგმა, რომელსაც რთული სამეტყველო გარემო აქვს, რადგან იქ ჩინური, ჰონგკონგური, ინგლისური და ა.შ. – ყველა, თითქოს, ძირითადი ენაა (წიგნიერების წინა კვლევაში საკმაოდ მოკრძალებული შედეგები ჰქონდა, დაახლოებით ისეთი, როგორც ჩვენ), შედეგები იმდენად ეფექტურად გამოიყენა, რომ 2006 წლის კვლევაში რეიტინგული სიის თავში მოექცა.

კვლევა სისტემაში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირებაში გვეხმარება, გვაძლევს ორიენტირს, რა უნდა შევცვალოთ, რომ სწავლებისა და სწავლის პროცესი გავაუმჯობესოთ. ამიტომაც არის საინტერესო დიაგნოსტიკური ტიპის კვლევა და ამიტომაც მივიჩნევთ მას ძალიან მნიშვნელოვნად გამოცდების ეროვნულ ცენტრში. ჩვენთან არ არსებობდა კვლევებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებისა და და ცვლილებების დაგეგმვის პრაქტიკა. ერთი-ორი ექსპერტის მოსაზრება საკმარისო იყო, რომ, მაგალითად, დაგეგმილიყო ტრიმესტრული სწავლება ან სხვა რამ. განათლების სისტემა საკმაოდ კონსერვატიულია და ამიტომაც ასე ხელაღებით, როგორი ძლიერი ექსპერტთა ჯგუფიც უნდა იყოს, ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც თაობებს ეხება, სწორი არ არის, აუცილებლად გარკვეულ კვლევას უნდა ეფუძნებოდეს. ამით მაქსიმალურად ავიცილებთ იმ რისკ-ფაქტორებს, რომლებიც მსგავსი გადაწყვეტილებების მიღებას შეიძლება მოჰყვეს. ამიტომაც, უნდა მივუგდოთ ყური კვლევებს და ვნახოთ, რას გვეუბნება შედეგები, რა ხდება სხვა ქვეყნებში. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გვექნება ზუსტი სურათი ქვეყანაში მოსწავლეთა მიღწევების თვალსაზრისით. კვლევის უნიკალობა კი ის არის, რომ, რადგან კვლევის მეორე ციკლია, პროგრესის შეფასების საშუალება გვეძლევა. შესაბამისად, ვფიქრობ, ჩვენთვის შედეგები ძალიან საინტერესო იქნება.

კვლევა ორი კვირის განმავლობაში მიმდინარეობს მთელ მსოფლიოში და, შესაბამისად, საქართველოშიც. შემდეგ იქმნება მონაცემთა ბაზები, გადაიგზავნება გერმანიაში, სადაც თავმოყრილია საერთაშორისო მონაცემები. პირველადი ინფორმაცია უკვე დეკემბერ-იანვარში გვექნება, ანგარიში კი ერთი წლის შემდეგ გამოქვეყნდება იმიტომ, რომ ეს ძალიან დიდი მოცულობის სამუშაოა, კვლევა კომპლექსურია. გარდა იმისა, რომ მოსწავლე ავსებს ტესტს, მისი მშობელი, მასწავლებელი და სკოლის დირექტორი პასუხობენ მათთვის მომზადებულ სპეციალურ კითხვარებს. შემიძლია ვთქვა, რომ კვლევა, სადაც ყველაფერი ასე ზუსტადაა გათვლილი, იშვიათად შემხვედრია, მით უფრო საგანმანათლებლო სფეროში.

ლალი ჯელაძე

ინფორმაცია

* * *

საქართველოში წარმატებით მიმდინარეობს მასწავლებელთა სერტიფიცირების პროცესი, რომელიც 2014 წლამდე არის ნებაყოფლობითი. ყოველი წლის ივლისის თვეში ყველა პედაგოგს ეძლევა საშუალება გაიაროს სერტიფიცირება პროფესიულ უნარებში და მაპროფილებელ საგანში. სასერტიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, პედაგოგი ხელფასზე დანამატის სახით იღებს 75 ლარს. სერტიფიცირებულ პედაგოგებს აქვთ შესაძლებლობა, ყოველი წლის აპრილის თვეში ჩააბარონ ინგლისურისა და კომპიუტერის ინტეგრირებული გამოცდა, რომლის წარმატებით გავლის შემთხვევაში მათი ხელფასზე დანამატი იზრდება კიდევ 125 ლარით. ხოლო, ამ გამოცდების შედეგად საუკეთესო 25%-ის ხელფასი იქნება 1000 ლარი.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი** იმ პედაგოგების საუკეთესო 25%-ს შეხვდა, რომლებმაც ორივე სასერტიფიკაციო გამოცდა წარმატებით ჩააბარეს და მიიღეს უმაღლესი შეფასება. სწორედ ეს პედაგოგები არიან პირველები, რომელთა ხელფასიც ახალი სასწავლო წლიდან იქნება 1000 ლარი.

საქართველოს მთავრობა და სახელმწიფო მუდმივად ზრუნავს პედაგოგების კვლაფიკაციის ამაღლებაზე და მათ წახალისებაზე, რაც ხელს უწყობს კონკურენტული გარემოს შექმნას, ახალი კადრების მოზიდვას და დაინტერესებას. სწორედ ამისი დადასტურებაა, რომ 2011 წლის ივნისში სასერტიფიკაციო გამოცდებზე უკვე 24 000 პედაგოგია დარეგისტრირებული.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს არაერთ პროგრამას პედაგოგების წახალისების მიზნით. ყველა მენტორი მასწავლებელი იღებს 160-ლარიან დანამატს ხელფასზე, მაღალმთიან რეგიონებში ხორციელდება პროგრამა „ასწავლე საქართველოსთვის“, რომლის მონაწილე ყველა პედაგოგი ხელფასზე დანამატის სახით იღებს 500 ლარს, ხოლო პროგრამაში „ქართული, როგორც მეორე ენა“ მონაწილე ყველა პედაგოგი იღებს 1000-ლარიან დანამატს ხელფასზე.

საერთაშორისო ოლიმპიადა

მოსწავლეთა ნაშრომებით თვალსაჩინოდ რეალიზებული მეცნიერული იდეები

პირველი გვერდიდან

გიორგი გარდაფხაძე, ქუთაისის მე-19 საჯარო სკოლის მოსწავლე: *ოლიმპიადაში პირველად ვმონაწილეობ. გავაკეთე რობოტის უნივერსალური ხელი – მანიპულატორი. იმედი მაქვს, ჩემი პროექტით დაინტერესდებიან.*

გიორგი ბარბაქაძე, ქუთაისის მე-19 საჯარო სკოლის მოსწავლე: *მიხარია, ოლიმპიადაში რომ ვმონაწილეობ. მე სათადარიგო მუხლუხო გამოვიგონე, რათა მანქანებს თოვლიან და ტალახიან გზაზე გადაადგილება გაუადვილდეთ. ეს ჩემი პირველი გამოგონებაა.*

მიხეილ ჯოშქუნი, დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის მოსწავლე: *ჩემმა სუდანელმა სტუმარმა, რომელიც სუდანის თურქულ სკოლაში სწავლობს, ჩამოიტანა დოუმის ხის ნაყოფი, რომელსაც სამკურნალო თვისებები აქვს. მისი ქერქი გამოიყენება მედიცინაში, ქოლესტერინის სამკურნალოდ, ასევე სტრესის მოხსნის საუკეთესო საშუალებაცაა.*

გუგა ბერაია, დემირელის კერძო კოლეჯის მოსწავლე: საერთაშორისო ოლიმპიადაში პირველად ვმონაწილეობ. წარმოდგენილი მაქვს ენერგიის გამომმუშავებელი ფეხსაცმელი, რომლის მეშვეობითაც შეგიძლიათ 2 საათში, დენის გარეშე, დატენოთ მობილურის, ფოტოაპარატის ბატარეა. ეს ხელსაწყო მოსახერხებელია მათთვის, ვინც ფეხით ბევრს მოძრაობს.

გიორგი ნეფარიძე, ქუთაისის ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმის მოსწავლე: *მე და ჩემმა მეგობარმა,* ***გურამ გოგლიჩიძემ****, კოლორადოს ხოჭოსთან ბრძოლის მეთოდი მოვიფიქრეთ. ეს არის ბიოლოგიური ნივთიერება, რომელიც მზადდება მცენარეების (ამბროზია, ნიგოზი, თამბაქო, ანწლი, დაფნა) ნახარშის ნაყენისგან. 10 დღის განმავლობაში უნდა შეიწამლოს დაავადებული მცენარე. შედეგი გარანტირებულია.*

კოკა სეფერთელაძე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე: *ყოველთვის ვიქნებით ჩართულნი მსგავს ოლიმპიადებში. ჩვენ ჩავატარეთ გამომგონებელთა კონკურსი, მაგრამ დღევანდელი ოლიმპიადა მნიშვნელოვანია მისი მასშტაბებით. გასულ წლებთან შედარებით, წელს ოლიმპიადაში გაცილებით მეტი ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობს. როგორც ქართველ, ასევე უცხოელ კონკურსანტებს, საკმაოდ საინტერესო პროექტები აქვთ წარმოდგენილი. გამოფენაზე ნათლად ჩანს, რაოდენ დიდი შრომა გასწიეს მოსწავლეებმა თითოეული პროექტის შესაქმნელად. აქ, ყველა მოსწავლე გამარჯვებულია, თუმცა გამარჯვებას ყველაზე ღირსეული პროექტის ავტორი მოიპოვებს.*

15 მაისს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა საერთაშორისო ოლიმპიადის ფინალისტთა დაჯილდოება გაიმართა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა „ჩაღლარის“ საგანმანათლებლო სასწავლებლების, ნორჩ მეცნიერთა და შემოქმედთა საერთაშორისო ოლიმპიადის გამარჯვებულები დააჯილდოვა.

ოქროს მედლითა და პერსონალური კომპიუტერებით დაჯილდოვდნენ: ხაშურის ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი კლუბის წევრი **არჩილ ინასარიძე** – საინჟინრო გამოგონებისთვის; ტოგოს რესპუბლიკის წარმომადგენელი **აბდულატივ აბდულგაფური**, აზერბაიჯანის წარმომადგენლები, ნოვაციისათვის ქიმიაში – **აზერ ასკაროვი** და **ასლამ მანსუროვი;** საინჟინრო გამოგონებისთვის ფიზიკაში – **ლუკსეგბედჯი-სიკა**, ავღანეთი.

დიმიტრი შაშკინი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი: *საბუნებისმეტყველო და ზუსტი დისციპლინების წახალისება საჯარო სკოლებში, ჩვენთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. მოხარული ვარ, რომ კერძო სკოლებიც ჩაერთვნენ ამ პროცესში და საქართველოში ჩატარდა მსოფლიო დონის ოლიმპიადა, რომელშიც მონაწილეობენ ბავშვები სხვადასხვა ქვეყნებიდან. მაქვს პატივი, საქართველოს პრეზიდენტის სახელით, ოთხი ლეპტოპი გადავცე ოთხ საუკეთესო მოსწავლეს, რომლებმაც წარმოადგინეს ყველაზე საუკეთესო პროექტები.*

არჩილ ინასარიძე, ქვიშხეთის საჯარო სკოლის X^ა კლასის მოსწავლე, ხაშურის ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი კლუბის წევრი: *მე წარმოვადგინე ხელნაკეთი სახნავ-სათესი მოწყობილობა. მეშვიდე წელია, ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა საერთაშორისო ოლიმპიადაში ვმონაწილეობ (ორჯერ – რესპუბლიკურში და ხუთჯერ – საერთაშორისო ოლიმპიადაში). პირველად წარმოვადგინე ქარის აგრეგატი, მეორედ – მე და ჩემმა ბიძაშვილმა ინკუბატორი გამოვიგონეთ, შემდეგ – დაცვის სისტემა, სახნავ-სათესი ველოსიპედი, შარშან ოლიმპიადაზე წარმოვადგინე თევზსაჭერი პელინგი. საქპატენტს ძალიან მოეწონა ჩვენი თევზსაჭერი და დაპატენტებას გვთავაზობენ, მაგრამ ჯერჯერობით თავს ვიკავებთ.*

ჩემი ახალი გამოგონება – სახნავ-სათესი მოწყობილობა საინტერესოა იმით, რომ ბაზართან შედარებით, გაცილებით იაფია. მას აქვს კულტივაციის, ხვნის და თესვის ფუნქცია. აქვს შიგაწვის და ელექტრონული ძრავები. რაც მთავარია ეკონომიურია. ჩემი სახნავ-სათესი ტრაქტორი საჯართე პუნქტში მოძიებული მეორადი მასალისგან ავაწყვე. მიხარია, რომ ერთ-ერთი გამარჯვებული გავხდი. წლევანდელი ჯილდო ყველაზე მნიშვნელოვანია.

ციური ინასარიძე, ხაშურის ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი ცენტრის პედაგოგი: *ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა საერთაშორისო ოლიმპიადაში უკვე მეხუთე წელია ვმონაწილეობთ. ოლიმპიადა მნიშვნელოვანია იმით, რომ მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ არა მარტო თავიანთი პროექტები გააცნონ საზოგადოებას, არამედ თავადაც გაეცნონ უცხოელი თანატოლების გამოგონებებს, ერთმანეთს გაუზიარონ საკუთარი გამოცდილებები. ოლიმპიადა ქართველი და უცხოელი ბავშვების დამეგობრებას, ქვეყნებს შორის ურთიერთობების გამყარებას უწყობს ხელს. ბედნიერი ვარ, რომ ჩემმა მოსწავლემ, ასეთ დიდ გამარჯვებას მიაღწია. დიდი მადლობა ოლიმპიადის ორგანიზატორებს.*

გიული ალასანია, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე: *საერთაშორისო ოლიმპიადა მეხუთე წელია ტარდება. ოლიმპიადის მასშტაბები ყოველწლიურად ფართოვდება. წელს საქართველო 30 ქვეყნის ნორჩ გამომგონებელს მასპინძლობს. ოლიმპიადაში მონაწილეობისთვის მზადებას მოსწავლეები თავიანთ ქვეყნებში იწყებენ – რესპუბლიკურ კონკურსებში გამარჯვების შედეგად საერთაშორისო ოლიმპიადაში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებენ. საერთაშორისო ოლიმპიადაში გამარჯვებისათვის საჭიროა, საინტერესო პროექტის წარმოდგენა. ოლიმპიადას დიდი წვლილი შეაქვს კულტურათა და ცივილიზაციათა დიალოგში, უცხოელი მოსწავლეები ქართულ ოჯახებში ცხოვრობენ და ქართულ ენას, კულტურასა და ტრადიციებს ეცნობიან. სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული მოსწავლეები ერთმანეთს ცოდნასა და გამოცდილებასაც უზიარებენ. ოლიმპიადის ფარგლებში, კონკურსანტებისთვის განხორციელდა კულტურული პროგრამები, მოეწყო ექსკურსიები. კომპეტენტურმა ჟიურიმ საუკეთესო პროექტები გამოავლინა, გამარჯვებულები საინტერესო და საუკეთესო პროექტების მიხედვით შეირჩა.*

ოკან ერაი, საორგანიზაციო კომიტეტის წევრი: *ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა რიგით მე-5 საერთაშორისო ოლიმპიადაში 30-მდე ქვეყნის VII- XII კლასების მოსწავლეები მონაწილეობენ. მათ მიერ წარმოდგენილ მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, ინფორმატიკის, ეკოლოგიის, აგრეთვე, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ტექნიკის სფეროებში მომზადებულ პროექტებს კომპეტენტური ჟიური შეაფასებს და გამარჯვებულებს გამოავლენს. გამოფენის გახსნაზე 145 მოსწავლე (აქედან 30 ქართველი) მონაწილეობს, წარმოდგენილია 30 საუკეთესო პროექტი. ოლიმპიადის მიზანია განსაკუთრებული ნიჭით გამორჩეული მოსწავლეების გამოვლენა, მათი დაინტერესება კვლევითი და გამომგონებლობითი საქმიანობით, მოსწავლეთა მხარდაჭერა, რათა შეძლონ მეცნიერული იდეების პრაქტიკულად, თვალსაჩინო ნაშრომის (ხელსაწყოს ან პროექტის) სახით ახსნა და გადმოცემა, მოზარდებში თანატოლებისა და ზოგადად, საზოგადოებისთვის აქტუალური პრობლემების გაცნობიერებისა და გადაჭრის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება; მოსწავლეთათვის ყოფითი ცხოვრებისა და მეცნიერებების სხვადასხვა სფეროს კავშირის ახსნა, მათი ცოდნის დონის ამაღლება მეცნიერების სხვადასხვა დარგში.*

ადემ ონალი, ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე: *ნორჩ გამომგონებელთა მეხუთე საერთაშორისო ოლიმპიადა წელს ყველაზე ფართო მასშტაბებს მოიცავს. ოლიმპიადა არა მარტო გამარჯვებულების გამოვლენას უწყობს ხელს, არამედ მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ ხდება ქართველი და უცხოელი ბავშვების დამეგობრება, რაც ქვეყნებს შორის ურთიერთობების გამყარებას უწყობს ხელს. პროგრამის ფარგლებში, კონკურსანტებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ ქართულ ენას, კულტურასა და ტრადიციებს, მოინახულეს პრეზიდენტის სასახლე, ჯვრის მონასტერი. კომპეტენტურმა ჟიურიმ 4 გამარჯვებული გამოავლინა, რომლებსაც ოქროს მედლები და პერსონალური კომპიუტერები გადაეცათ, ხოლო ოლიმპიადის დანარჩენი მონაწილეები ოქროს, ბრინჯაოსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოვდნენ.*

ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა მეხუთე საერთაშორისო ოლიმპიადის ორგანიზატორები იყვნენ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, „ჩაღლარის“ სასწავლო დაწესებულებები, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი, „საქპატენტი“, ევროკავშირის კომისიის წარმომადგენლობა საქართველოში და კომპანია „ჯეოსელი“.

მაკა ყიფიანი

მოვემზადოთ მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის

გაყიდვაშია

დაწყებითი კლასების მასწავლებლებს

წიგნი განკუთვნილია დაწყებითი კლასების მასწავლებელთათვის. მოიცავს ქართული ენის, მათემატიკის, გეოგრაფიის, ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის თეორიულ საკითხებს; დაწყებით კლასებში გამოყენებული ინტერაქტიული გაკვეთილის ელემენტებს; საგამოცდო ტესტური ნიმუშების ანალოგიურ ტესტებს (პასუხებით).

თეორიული მასალა შედგენილია განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი საგნობრივი სტანდარტების მიხედვით.

წიგნზე მუშაობდნენ: მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები; გრიფირებული სახელმძღვანელოების ავტორები და განათლების ექსპერტები.

მალე

ისტორია

ავტორი
მაია ფირჩხაძე

კრებული განკუთვნილია ისტორიის მასწავლებლებისათვის. კრებულში წარმოდგენილია საგამოცდო ტესტური ნიმუშების მსგავსი ტესტები (პასუხებით), რომლებიც დაეხმარება ისტორიის მასწავლებლებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემოთავაზებული სასერტიფიკაციო გამოცდების წარმატებით მომზადებაში.

ტესტებში წარმოდგენილია ისტორიული წყაროების ანალიზის ნიმუშები, ტექსტის გააზრების კოგნიტური სქემები, რუკაზე შესასრულებელი პრაქტიკული სავარჯიშოები, ცხრილები, პრობლემის წამოყენებისა და არგუმენტირებული მსჯელობის ნიმუშები, ტექსტის გააზრების არალინგვისტური ხერხები და სხვ.

მალე

ფიზიკა

ავტორი
ლევან მნათობიშვილი

კრებულში შეტანილი როგორც ამოხსნილი ამოცანები, ისე დამოუკიდებლად შესასრულებელი დავალებები დაგეხმარებათ გაიღრმავოთ საგნობრივი ცოდნა და გამოიმუშავოთ პროფესიული უნარ-ჩვევები ფიზიკის მაწავლებლების პროფესიული სტანდარტის შესაბამისად.

კრებულში ჩართულია აგრეთვე შეფასების ცენტრის მიერ სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის მომზადებული დავალებების გამოქვეყნებული ნიმუშების დეტალური და ანალიტიკური ამოხსნები.

კრებულს დართული აქვს პასუხები მითითებებით, ცხრილები, მათ შორის სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისი მათემატიკური ფორმულები.

შეძენა შეგიძლიათ

თბილისი: სადისტრიბუციო კომპანიის NGM გროუპ ოფისში, წინამძღვრიშვილის 119, ტელ: 96 40 81; 890 96 40 82;
ბათუმი: „ლამპარი“ * ჭავჭავაძის 75, (ტელ. 2 42 75); „განათლება“ – ჯავახიშვილის 53, (ტელ. 5 65 35);
„ინტელექტი“ – დემეტრე თავდადებულის (ყოფ. შაუმიანის) 16 (ტელ. 5 50 01);
ქუთაისი: ი/მ „ბახვა ხაჩატუროვი“ – 898 25 27 77;
თელავი: სააკაძის 6, ფოტოსამყაროსთან არსებული წიგნების მაღაზია (ტელ. 7 55 47).

წიგნები გამოსცა გამომცემლობა „უსტარმა“

საერთაშორისო სამოქალაქო განათლების წარმატებული პროექტი

სამოქალაქო საზოგადოების, მისი ზნეობის, სამოქალაქო აზროვნების ჩამოყალიბება-განვითარება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, არსებითი საკითხია საქართველოს საგანმანათლებლო-სასწავლო სივრცეში.

ცნება „მოქალაქეობა“ იმდენად მრავალმხრივ დატვირთული სიტყვაა, რომ ამის გააზრება მხოლოდ თეორიული სწავლებით, მხოლოდ სასკოლო, საგაკვეთილო პროცესის ფარგლებში ძნელად გასათავისებელ-აღქმადია.

საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ამოქმედებამ, ახალმა ტექნოლოგიებმა, გლობალურმა კომპიუტერულმა ხედვამ ამ მხრივაც თავისი სიტყვა თქვა, მრავალმხრივ საინტერესო პერსპექტივა დასახა და განახორციელა კიდეც.

ამერიკის შეერთებული შტატების განათლების დეპარტამენტის დაფინანსებით, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი და ამერიკის მასწავლებელთა ფედერაცია, 2009 წლის ოქტომბრიდან, ახორციელებს სამოქალაქო განათლების საერთაშორისო გაცვლით პროგრამას „მოქალაქეთა ხმები“.

პროექტი ითვალისწინებს დემოკრატიული მეხსიერებების საერთაშორისო ბანკის შექმნასაც და ელექტრონულ სივრცეში მათი მონაპოვრის განთავსებას, რაც ნაწილობრივ შესრულებულია კიდეც. პროექტში ჩართულია: ამერიკის შეერთებული შტატები, კოლუმბია, საქართველო, მონღოლეთი, ირლანდია, პოლონეთი, სამხრეთ აფრიკა. ეს ის ქვეყნებია, რომლებიც განვითარდნენ დემოკრატიული მოძრაობების პრინციპით. აღნიშნულ ბანკში მსოფლიო ისტორიას ემატება ზეპირი ინფორმაციები სამოქალაქო აქტივობების შესახებ. ყოველივე ეს კი, იძლევა უნიკალურ საშუალებას მცირე წვლილი შევიტანოთ თანამედროვე მსოფლიო ისტორიის შექმნაში.

პროექტის მისია საპასუხისმგებლოა, მასში ჩართვა-საქმიანობა – საინტერესო, შემოქმედებით-შემეცნებითი.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, 2009-10 წლებში, სპმთპ-მ გადაამზადა 106 სამოქალაქო განათლების მასწავლებელი. მათ გაიცნო ახალი ტექნოლოგიები, ინოვაციური მეთოდები, ლიტერატურა. ყოველივე ეს ქართველმა პედაგოგებმა მოსწავლეებთან ერთად საქართველოს ეროვნულ კურიკულუმს შეუფარდეს და ქართულ სინამდვილეში დანერგეს, განახორციელეს.

16-17 აპრილს, განათლების პროფკავშირის წყნეთის სასწავლო ცენტრის ბაზაზე, ამერიკელმა კოლეგებმა სამუშაო შეხვედრა გამართეს პროექტში ჩართულ 22 ქართველ მასწავლებელთან (პედაგოგები შეირჩნენ საქართველოს მასშტაბით). მათ ერთობლივად შეიმუშავეს საგაკვეთილო გეგმა საერთაშორისო პროექტის ამოცანების გათვალისწინებით.

2010-2011 წლებში განხორციელებულმა საქმიანობამ მაღალი შეფასება მიიღო. გაწეული მუშაობის საპრეზენტაციოდ სამი სკოლა დასახელდა: თბილისის №3 საჯარო სკოლა (დირექტორი – **ზურაბ ზანგურაშვილი**); გორის №7 საჯარო სკოლა (დირექტორი – **ნოდარ იარღანაშვილი**); ანდრია ბენაშვილის სახელობის კერძო სკოლა „ბენაური“ (დირექტორი – **ცაცა ბენეშვილი**).

2011 წლის 19 აპრილს, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ინიციატივით, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის მხარდაჭერის ნიშნად, ამერიკის საელჩომ უმასპინძლა პროექტის „მოქალაქეთა ხმები“ მონაწილეებს, კონკურსანტებს.

ღონისძიებას ესწრებოდა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოადგილე, ბატონი **კენტ ლაგსტონი**. მან მადლიერება გამოხატა ორგანიზაციის პრეზიდენტის – **მაია კობახიძის** მიმართ და პირადად გაესაუბრა საელჩოში მოწვეულ ქართველ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს – სამოქალაქო განათლების პედაგოგებს: **მერი ბეჟუაშვილს, ფლორა მილორავას, მარიამ ბეჟიტაშვილს.** თბილისის №3 საჯარო სკოლის მოსწავლეები: **მარიამ გოგიბერიძე, სალომე ჯაჭვლიანი, მარიამ სხირტლაძე, თეონა მანეჟაშვილი, სანდრო ილურიძე, სალომე სანიკიძე, ზურაბ ბიბილური** და **მარიამ ლაზარაშვილი** აღტაცებას ვერ ფარავდნენ საელჩოს წარმომადგენელთა მხრიდან ამგვარი უშუალო დამოკიდებულების გამო.

ქალბატონმა მაია კობახიძემ პროექტში გამარჯვებულ მასწავლებლებს სერტიფიკატები, ხოლო მოსწავლეებს, რესპონდენტებსა და დირექციის წარმომადგენლებს მადლობის ფურცლები გადასცა.

ყური მიუგდეთ მსოფლიოს მოქალაქეთა ხმებს, იხილეთ ვებგვერდზე www.civicvoices.org

მარინა ბენიძე

როგორი მინდა იყოს სამყარო

გეოგრაფიის რესპუბლიკური კონკურსი ტრადიციად იქცევა

2011 წლის 11 მაისს, თბილისის 51-ე საჯარო სკოლაში (დირექტორი – **დავით ლაგვილავა**), რესპუბლიკური მასშტაბის სასკოლათაშორისო კონკურსის მესამე ეტაპი ჩატარდა გეოგრაფიაში, დევიზით: „დედამინა ჩემი სახლია“, რომელიც ამავე სკოლის კურსდამთავრებულების – **ლაშა ბეჟუაშვილის** და **გიორგი პურიჭამიაშვილის** ხსოვნას მიეძღვნა.

ლაშამ და გიორგიმ გასულ ზაფხულს უმწეო მდგომარეობაში მყოფი გოგონას გადარჩენისთვის გაწირეს თავი, თუმცა სამივეს სიცოცხლე ტრაგიკულად დამთავრდა. ისინი სკოლის წარჩინებული მოსწავლეები იყვნენ. როგორც პედაგოგები ამბობენ, მაღალი ზნეობრივი ღირებულებებით გამოირჩეოდნენ, იყვნენ საიმედონი, გამტანნი, გაჭირვებაში მეგობრებისადმი მხარში ამომდგომნი და ეს დაამტკიცეს კიდეც. მათი ინტერესთა სფერო ფართო იყო, მაგრამ გეოგრაფია გამორჩეულად უყვარდათ. არ გამართულა არც ერთი სასკოლო, რაიონული თუ რესპუბლიკური დონის ოლიმპიადა თუ კონფერენცია, რომ მათ არ მიეღოთ მონაწილეობა და საუკეთესო შედეგებისთვის არ მიეღწიათ.

სწორედ გეოგრაფიის ასეთი სიყვარულის გამო, ლაშას დედის, **ხათუნა კილასონიას** სურვილი იყო ისეთი რამის მოფიქრება, რაც დროდადრო მაინც გააცოცხლებდა ამ ბიჭების ასეთ ინტერესსა და სიყვარულს საგნისადმი. ძველი თბილისის რესურსცენტრის ხელმძღვანელის, ქალბატონ **მედეა სამსონიას** ინიციატივის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება გეოგრაფიაში რესპუბლიკური სასკოლათაშორისი კონკურსის ჩატარების შესახებ.

კონკურსის პროექტი ლაშას და გიორგის გეოგრაფიის პედაგოგმა და დამრიგებელმა, 51-ე საჯარო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელმა, **ნაილი წერეთელმა** შეიმუშავა. პროექტის მიხედვით უნდა ჩატარებულიყო საკონფერენციო ნაშრომების კონკურსი გეოგრაფიაში, დევიზით: „დედამიწა ჩემი სახლია“. პროექტის მიზანი მეტად აქტუალურია: „გადავარჩინოთ გარესამყარო განადგურებისგან“.

„ცნობილია, რომ ბუნება თავის კანონზომიერებებით, საიდუმლოებებით და სიღრმით დღემდე აოცებს ადამიანს. ბუნების უამრავ საიდუმლოებათა ამოხსნა ბოლო საუკუნეების პრიორიტეტი გახდა, მაგრამ სამწუხაროდ, ამ საიდუმლოებათა ცოდნამ ადამიანი ბუნებასთან კი არ დააახლოვა, არამედ დააშორა. იგი „უძღები შვილის“ სიხარბით დაეწაფა მის საგანძურს და საუკუნეების განმავლობაში ბუნებას უყურებდა, როგორც მატერიალური კეთილდღეობის ამოუწურავ წყაროს, ამიტომ არ ზრუნავდა მის შენარჩუნებაზე. ადამიანის არაგონივრულმა მოქმედებამ იქამდე მიგვიყვანა, რომ ბუნება დღეს სხვადასხვა კატაკლიზმების სახით თავს ესხმის ადამიანს“ – აღნიშნა ქალბატონმა ნაილიმ კონფერენციის გახსნისას.

როგორია სამყაროს დღევანდელი მდგომარეობა, როგორი მინდა იყოს იგი, რა მიშლის ხელს ამ სურვილის შესრულებაში, რა ღონისძიებები უნდა გატარდეს დედამიწის გადასარჩენად... – ამ კითხვებზე უნდა გაეცა პასუხი საკონკურსოდ წარმოდგენილ ნამუშევრებს.

პროექტის განხორციელება სამ ეტაპს ითვალისწინებდა: სასკოლო, რეგიონული და დასკვნითი ტური. კონკურსში საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სკოლების უმრავლესობა ჩაერთო.

პირველი ეტაპი, სასკოლო დონეზე, 19 მარტს გაიმართა. გამარჯვებული ნაშრომები მეორე ეტაპისთვის შესაბამის რესურსცენტრებს გადაეცა. რაიონულ ტურში გამარჯვებული ნაშრომები კი დასკვნითი, მესამე ეტაპისთვის 31 მარტამდე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გადაიგზავნა.

დასკვნითი ეტაპისთვის 13 საჯარო სკოლის საკონფერენციო ნაშრომი გამოიკვეთა:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის ლაჯანის საჯარო სკოლა – **ჯაბა თვარაძე**, XI კლასი (პედაგოგი – **თეა სილაგაძე**);
2. თბილისის მე-2 საჯარო სკოლა – **ანა სოსელია**, X კლასი (პედაგოგი – **ნუგზარ არჩვაძე**);
3. თბილისის 51-ე საჯარო სკოლა – **თამუნა ბებიაშვილი**, **თამთა გოგელაშვილი,** XII კლასი (პედაგოგი – **ნაილი წერეთელი**); **სოფო გოდერძიშვილი,** XI კლასი (პედაგოგი **მაია მაძღარაშვილი**);
4. თელავის მუნიციპალიტეტის რუისპირის საჯარო სკოლა – **თამარ ხანჯალაშვილი,** XII კლასი (პედაგოგი – **ნატალია ბუჩუკური**);
5. რუსთავის მე-20 საჯარო სკოლა – **ანა წერეთელი, მარიამ პაიჭაძე,** XII კლასი (პედაგოგი – **ლია ჯოჯუა**);
6. სენაკის მუნიციპალიტეტის მე-3 საჯარო სკოლა – **ანა ჯულაყიძე**, XI კლასი (პედაგოგი – **თამარ ნარსია**);
7. წნორის საერო სკოლა-ლიცეუმი – **მარი ბანანაშვილი**, XI კლასი (პედაგოგი – **ნ. გივიშვილი**);
8. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მე-11 საჯარო სკოლა – **გიორგი მხეიძე**, VII კლასი (პედაგოგი – **მაია ჯულაყიძე**);
9. სურამის მე-3 საჯარო სკოლა – **გვანცა ლოთუაშვილი**, XII კლასი (პედაგოგი – **მაია ჩადუნელი**);
10. თბილისის 165-ე საჯარო სკოლა – **ლევან ნებიერაძე**, IX კლასი (პედაგოგი – **ნინო მერაბიშვილი**);
11. ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ გომის საჯარო სკოლა – **ნათია ბლიაძე,** XII კლასი (პედაგოგი – **ბონდო გელაშვილი**);
12. ცაგერის მუნიციპალიტეტი, ორბელის საჯარო სკოლა – **ნათია კენჭაძე**, (პედაგოგი – **ქეთევან მახარობლიძე**);
13. სკოლა-ლიცეუმი „ფესვები“ – ვიდეორგოლი, IX კლასი (დირექტორი – **მაია ალანია**).

საკონფერენციო ნაშრომების განხილვამდე სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელმა, **მაია მაძღარაშვილმა** უჩვენა სკოლის მხარეთმცოდნეობის სექციის მიერ მოწყობილი ლაშქრობის ამსახველი ვიდეორგოლი. ეს ლაშქრობა ლაშას და გიორგის ხსოვნას მიუღძვნა ვაშლოვანის ნაკრძალში.

წარმოდგენილი ნაშრომების უმრავლესობა არგუმენტირებულად დასაბუთებული, ფაქტებით გამყარებული, სიღრმისეული ანალიზით გამოირჩეოდა. გათვალისწინებულ იქნა გაფორმების კულტურა (სქემები, დიაგრამები, ნახატები, ფოტოსურათები და ა.შ.).

კონკურსანტების ნაშრომები შეაფასა ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში იყვნენ:

მაია ბალაძე – გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, გეოგრაფიის სახელმძღვანელოების ავტორი, ჟიურის თავმჯდომარე;

ნოდარ ელიზბარაშვილი – გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი და გეოგრაფიის სახელმძღვანელოების ავტორი;

თინა ბალაშვილი – თბილისის მოსწავლეთა სასახლის გეოგრაფიის კაბინეტის გამგე;

ნანა გოგაშვილი – თბილისის საპატიო მასწავლებელი, 99-ე საჯარო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი;

დავით ლაგვილავა – 51-ე საჯარო სკოლის დირექტორი.

მესამე დასკვნითი ეტაპის ყველა მონაწილე დაჯილდოვდა ფასიანი საჩუქრებით. გამოვლინდნენ სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულებიც: ეკოლოგიური პრობლემების გაშუქება (ლოკალურ, რეგიონულ და გლობალურ დონეზე); ეკოლოგიური პრობლემების მისეული ხედვა; ისტ; ორიგინალურობა (ლიტერატურული ჩანახატები, ორიგინალური გაფორმება); საუკეთესო ვიდეორგოლი.

კონკურსის გამარჯვებულები:

I ადგილი:

რუსთავის მე-20 საჯარო სკოლა – **ანა წერეთელი, მარიამ პაიჭაძე**, IX კლასი (პედაგოგი – **ლია ჯოჯუა**);

თბილისის 51-ე საჯარო სკოლა – **თამუნა ბებიაშვილი, თამთა გოგელაშვილი**, XII კლასი (პედაგოგი – **ნაილი წერეთელი**).

II ადგილი:

თბილისის მე-2 საჯარო სკოლა – **ანა სოსელია**, X კლასი (პედაგოგი – **ნუგზარ არჩვაძე**);

თბილისის 51-ე საჯარო სკოლა – **სოფო გოდერძიშვილი**, XI კლასი (პედაგოგი – **მაია მაძღარაშვილი**);

III ადგილი:

სურამის მე-3 საჯარო სკოლა – **გვანცა ლოთუაშვილი,** XII კლასი (პედაგოგი – **მაია ჩადუნელი**);

სენაკის მე-3 საჯარო სკოლა – **ანა ჯულაყიძე**, XI კლასი (პედაგოგი – **თამარ ნარსია**).

დასასრულ, კონკურსში მონაწილე სკოლების პედაგოგებმა და კონკურსანტებმა კონკურსის ორგანიზებასა და მაღალ დონეზე ჩატარებაში მონაწილეობისთვის მადლობა გადაუხადეს ქალბატონ **ხათუნა კილასონიას**, პროექტის ავტორს – ქალბატონ **ნაილი წერეთელს,** სკოლის დირექტორს – ბატონ **დავით ლაგვილავას**, დირექტორის მოადგილეებს – **მერი ალბორიშვილს, მანანა თურქაძეს, ნანა გიორგობიანს, თამარ ჯავახიშვილს,** საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელს **ანა კუპრავას**.

კონფერენციის დასკვნითი ეტაპის მუშაობას ესწრებოდნენ ლაშას და გიორგის მშობლები, თანაკლასელები, სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები. ლაშას მეგობრებმა ლაშასადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს, ხოლო ანსამბლ „ერისიონის“ წევრებმა (ასევე, ლაშას მეგობრებმა) ლაშას და გიორგის ხსოვნას საგალობლები და ხალხური სიმღერები მიუძღვნეს.

სკოლის დირექტორის მოადგილემ სასწავლო აღმზრდელობით დარგში, მანანა თურქაძემ დამსწრეთ აცნობა, რომ ამიერიდან, გეოგრაფიაში რესპუბლიკური კონკურსის ჩატარება ყოველწლიურ ტრადიციად იქცევა და გამარჯვებული მოსწავლეები ლაშას და გიორგის სახელობის დიპლომებით დაჯილდოვდებიან.

ანა ფირცხალაიშვილი

ინფორმაცია

* * *

პირველი სასწავლო წლის დასასრული რომ გამორჩეული და დასამახსოვრებელი ყოფილიყო, მასწავლებელმა მთაწმინდის პანთეონში ექსკურსია მოუწყო თავის აღსაზრდელებს. თუმცა ეს მარტო ექსკურსია არ ყოფილა – 172-ე საჯარო სკოლის (დირექტორი – **ელისო დოლიკაძე**) I^3-კლასელებმა გვიჩვენეს, რომ ის, რაც მათ თავიანთმა მასწავლებელმა **დალი პაპუაშვილმა** ასწავლა, კარგად შეითვისეს, დაიმახსოვრეს და იაკობ გოგებაშვილის საფლავთან თავიც მოიწონეს – ლიტერატურული მონტაჟით, სიმღერებით წარდგნენ მშობლებისა და „დედაენის“ ავტორის, პროფესორ **ნათელა მაღლაკელიძის** წინაშე. პატარებმა ზეპირად წარმოთქვეს ნაწყვეტები იაკობ გოგებაშვილის მოთხრობებიდან, წაიკითხეს მისი და „დედაენაში“ შესული თანამედროვე ქართველი პოეტების საბავშვო ლექსები, მათ შორის, ნოდარ დუმბაძის, მუხრან მაჭავარიანის, კუკური გოგიაშვილის... შეასრულეს ქართველი კომპოზიტორების საბავშვო სიმღერები და საქართველოს ჰიმნიც კი (მუსიკის მასწავლებელი – **ნათია ბაბუაძე**).

ნათელა მაღლაკელიძე: *„1987 წლის შემდეგ ქართული ენის სწავლების მიმართულებით (არა მარტო დაწყებით საფეხურზე) არაფერი შეცვლილა. წლების განმავლობაში ეს საკითხი თვითდინებაზე იყო მიშვებული. 2006 წელს დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმა ნამდვილად რევოლუციური ცვლილება იყო, თუმცა რიგი შენიშვნებისა, რომელიც მაშინ არ გაითვალისწინეს, გარკვეული ხარვეზების მიზეზი გახდა სწავლების მეთოდიკაში. მომავალი სასწავლო წლიდან ეს ხარვეზი აღმოიფხვრება, ამას დაერთვება პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება და შედეგიც გაცილებით უკეთესი იქნება, ვიდრე დღეს გვაქვს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ თუ დღევანდელი ღონისძიებით ვიმსჯელებთ, პედაგოგის პროფესიონალიზმის, დიდი შრომის წყალობით, შედეგი ნამდვილად საუკეთესოა“.*

სტუმარი



ერთი სიმართლეს ეძებს, მეორე მასცემს, „ყველაფერს სამი აკეთებს“

მარჯანიშვილის თეატრში, 8 და 10 მაისს, აკა მორჩილაძის „წიგნის“ პრემიერა გაიმართა. რეჟისორმა დავით საყვარელიძემ ლიტერატურის მოყვარულებს სიურპრიზი მოუმზადა. ამიერიდან „ფრიდონიანი“ მხოლოდ ავტორის პოპულარობით აღარ მიიპყრობს ყურადღებას. ნურადინ ფრიდონისა და ბრძენი ალ ქაუსის მიერ სცენაზე ამეტყველებული ორი ცივილიზაცია – ქრისტიანულ-დასავლური და ისლამურ-აღმოსავლური იმდენად შთამბეჭდავი აღმოჩნდა, რომ პრემიერის შემდეგ წამოსული, უკვე მერამდენედ, კარგა ხანს ვფიქრობ „ვეფხისტყაოსნის“ ფენომენზე.

„წიგნის“ პრემიერიდან ერთი კვირის შემდეგ (უკვე ერთი კვირის ჩაწერილი მაქვს ინტერვიუ სპექტაკლის ჩემთვის ყველაზე სასურველ მსახიობთან) ვიწყებ ინტერვიუსთვის შესავლის წერას. თუმცა, შეიძლებოდა ამის გარეშეც. მაგრამ ვხვდები, რომ ამის გარეშე არ გამომივა.

არატრადიციულ სპექტაკლში – ლეგენდა, მითი და წიგნი – ეს ყველაფერი მაყურებლამდე მსახიობებს მხოლოდ და მხოლოდ სიტყვით მიაქვთ, თეატრისათვის დამახასიათებელი სტერეოტიპული ეფექტების გარეშე. სიტყვით, აკა მორჩილაძისეული სიტყვით, მოხდენილ სასვენ ნიშნებსაც კი გრძნობ და, რაც მთავარია, ეს ლიტერატურის მოყვარულების განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს – უსმენ ლიტერატურას, როგორც კლასიკური მუსიკის კონცერტს, რომელსაც აღმოსავლეთის უპირველესი რაინდი – ნურადინ ფრიდონი (ოთარ მეღვინეთუხუცესი) და აღმოსავლეთისავე უპირველესი ბრძენი (ზურაბ სტურუა) გადმოგვცემენ – ერთი სიმართლეს ეძებს და მეორე გასცემს. ამას ყველაფერს მსახიობები იმდენად დამაჯერებლად ყვებიან, რომ განცდა გაქვს, თითქოს, შენც ამ ამბის თანამონაწილე ხარ.

მოთხრობიდან სიტყვაც კი არ არის გამოტოვებული, ეს ერთგვარი ექსპერიმენტია და საკმაოდ წარმატებულიც. *„ზღვისრეთის გამგებელ ნურადინ ფრიდონს აღარც კი ახსოვდა, რამდენი წლისა იყო. ვარსკვლავთმრიცხველნი და კარის ჩელები ამბობდნენ, რომ მას მიეღწია სულიერების იმგვარი წერტილისთვის, რომელიც სრულიად გამორიცხავს ასაკის მნიშვნელობას იმქვეყნად მივლინების მიზეზთა შორის“.* ჰოდა, ეს წელს მიტანებული ნურადინ ფრიდონი ბიოგრაფიის დაწერას ცდილობს, უნდა შთამომავლობას დაუტოვოს სიმართლე. ამ დროს მისთვის საჩუქრად მოაქვთ წიგნი „ჰინდურელ ნამე“ („ვეფხისტყაოსანი“), რომელშიც აღწერილია ამბავი, თუ როგორ შეებრძოლა აღმოსავლეთის პირველი რაინდი, ორ მეგობართან ერთად, ქაჯებს და ტყვეობიდან იხსნა მეგობრის სატრფო. ნურადინ ფრიდონს აღაშფოთებს ეს ამბავი და განიცდის, რატომ დაწერა ავტორმა წიგნი ასე, ეს ხომ სიმართლე არ არის, სიმართლე მხოლოდ მის 16 წიგნშია აღწერილი. მას კი, ქალისთვის ბრძოლა არასოდეს უკადრებია, რადგან ეს გმირობად არ მიაჩნია: *„შეუძლებელია ჩემთვის იმ გმირობის მითვისება, რომელიც არ ჩამიდენია“...* აკას ლეგენდის მიხედვით, სცენაზე ბრძენი ალ ქაუსი შემოდის. მის გამოჩენაზე სუნთქვა გეკვრება, სიტყვის ამოღებამდე უკვე რაღაცით გნუსხავს, მერე ხვდები, რომ ეს რაღაც კი არა, მისი საოცარი ნიჭიერებაა, რომელიც მაყურებელს ასე მოგვნატრებია. მოხუცი ბრძენი ნურადინ ფრიდონის კითხვას, თუ რატომ დასჭირდა ავტორს სამი მეგობრის შებრძოლება ქაჯებთან, ასე ხსნის: *„...ასწია ალ ქაუს ბრძენმა თავისი შავი, ყვითელგულა ხელი... შეკრა ერთად ცერა, საჩვენებელი და შუა თითები და თქვა: მათ მიაჩნიათ, რომ ყველაფერს სამი აკეთებს. აი, ეს სამი. თქვენც სამნი ხართ. თქვენ სამნი რჩებით“....* „მათ“ ის ქვეყანაა, სადაც ეს წიგნი დაიწერა, ეს ქვეყანა კი საქართველოა, აქ კი მთავარი ალ ქაუსის თითებით ნაჩვენები სამებაა. ასე გააფერმკრთალა სიყვარულზე გამონაგონმა ერთმა წიგნმა რეალურ გმირობაზე დაწერილი თექვსმეტივე წიგნი, რომლებიც ზღვისრეთის გამგებლისთვის ასე რთული დასაჯერებელი აღმოჩნდა. ასე შემოდის შენში სულიერებითა და სიბრძნით სავსე ამბავი „ფრიდონიანისა“, აკა მორჩილაძის მოხდენილი სიტყვით და მსახიობთა საოცარი გარდასახვით. ალბათ, დამეთანხმებით, რომ პრემიერის შემდეგ ეს ემოცია ასე იოლად არ გაქრებოდა, არ დამთავრდებოდა... მეტიც, იმის გაფიქრება, რომ შენ იმ სამყაროს ნაწილს განეკუთვნები, სადაც სამი რამ ქმნის ყველაფერს და იმ ქვეყანას, სადაც სიყვარულის გამო სამი რაინდი შიშველი ხელებით ეომება ქაჯებს, სიამაყეს თუ არა, სიამოვნების ჟრუანტელს მაინც მოგგვრის. ფინალი კი საბოლოოდ შეგაგრძნობინებს, რომ ხშირად ბრძოლაში გამოჩენილ სიმამაცეზე მეტია სიყვარული.

* * *

ამ ემოციის შემდეგ ბატონ **ზურაბ სტურუას** facebook-ზე 10-წლიანი პაუზის შემდეგ ასეთ წარმატებას ვულოცავ.

ეს დიდი ხნის დუმილის შემდეგ ჩაწერილი ინტერვიუს პირველი ნაწილია:

– გილოცავთ!!! დღეს არაჩვეულებრივი ალ ქაუსი ვნახე. სიბრძნითა და სულიერებით დამუხტული დავბრუნდი.

– არ ესმით ჩემი...

– ვის? და რატომ?

– r

– r???

– დავიღალე.

– მესმის თქვენი, არ შეგაწუხებთ. ისეთი ემოციით დავბრუნდი, ჯერაც არ დავწყნარებულვარ, თან მთელი დღე ამაზე ვფიქრობდი.

– დაიძინეთ.

* * *

ინტერვიუს მეორე დღე. მსახიობთან, შეთანხმებისამებრ, სახლში მივედი. მელოდა, კარის ზღურბლს გადავაბიჯე და მოვხვდი სამყაროში, რომელიც არც თუ ისე იოლი შესაცნობია. თვალი შევავლე მის ნივთებს, მაგიდაზე ერთმა ფაიფურის თოჯინამ მიიპყრო ყურადღება, „მოლა“ აღმოჩნდა, მას ვეხები, მასპინძელს არ მოსწონს, ეს განსაკუთრებული ნივთია, თავისი ისტორიით... კედელზე მისივე ნახატები კიდია... დროს არ ვკარგავთ, ჩვენს განკარგულებაში მხოლოდ ერთი საათია, 5 საათზე რეპეტიცია აქვს ლილი იოსელიანთან. ფურცლებს თავად მაწოდებს და წერას ვიწყებ... კითხვები??? კითხვებს ვერ ვსვამ... უფრო სწორად სრულად, მივენდე, რასაც მიამბობდა...

* * *

გაბრაზებული გალაკტიონი, ნერვებაშლილი იმით, რომ მისი არ ესმით, ძმას ჭყვიშში წერილს წერს: „ძმაო აბესალომ!

მე ნერვები მაქვს აშლილი და მკურნალობას ვსაჭიროებ. მე დღეში შეიძლება ას კაცს შევხვდე და მაინც მარტო ვარ!“

ჩემდა სურვილთა უკითხავად, 40 წლის ასაკში განვმარტოვდი. მარტოობა, სიბნელე, შიში, წიგნები, ფურცლები, საღებავები, უფრო სწორად – შავი პასტელი და ზეთი... მონასტერი, უცხოეთი, თბილისი, სიბნელე, წიგნები, მეცადინეობა 24 საათის რეჟიმში; ცრემლი, ფიქრი... ფიქრი... ფიქრი... თეატრი, შედევრი, მარცხი. არ ესმით ჩემი? 10 წლის შემდეგ დავარღვიე დუმილი. რეალითი შოუ – ბებერი მასხარას უკბილო ხუმრობა.

ლილი იოსელიანი – მასწავლებელი, ჰენრი იბსენის „იუნ გაბრიელ ბორკმანი“ – სხვა განზომილება, რეალისტური თეატრი. კ. სტანისლავსკი – მუშაობის მეთოდიკა; სათქმელი – ძალაუფლების ძალაუფლებისაკენ სწრაფვა. ყოველგვარი ხერხის გამოყენება ხელისუფლებაში მოხვედრისა ზიანს აყენებს არა მარტო თავად ადამიანს, არამედ საზოგადოებას, ქვეყანას, ოჯახს. დავფიქრდეთ... სჭირდება დღეს ქართულ საზოგადოებას რეალიზმი სცენაზე? თუ დაიკარგა მოსმენა კულტურისა, მაშინ, რასაკვირველია, ასეთი ტიპი ადამიანებისა დატოვებენ დარბაზს, საიდანაც ტკივილი ისმის და გავლენ სანახაობათა ფორმის დაწესებულებაში, რომლებიც დღევანდელ ყოფიერებაში მომრავლდა; ხოლო ადამიანნი, თუნდაც მცირეოდენნი, ვისაც აქვს უნარი მოსმენისა, მერწმუნეთ, დიდი ყურადღებით მოუსმენენ რეალურ ტკივილს ყოველგვარი ეფექტების გარეშე, თუ კი ის, ტკივილითა და საკუთარ თავის პრიზმაში გატარებულს მიაწვდის მაყურებელს.

ათი წლის განმავლობაში, ჩემთა სურვილთა უკითხავად, განმარტოებული ადამიანი, არაპოპულარული ვარ, რადგან ვეწინააღმდეგები მთელი არსით ყვითელ ფურცლებზე მოხვედრას, გასართობ სატელევიზიო შოუებზე მიწვევას. მიმაჩნია, ამგვარი გზით მოპოვებული პოპულარობა დამამცირებელი და საშიშია თვით იმ პიროვნებებისთვის, რომლებიც დღეს პოპულარულები არიან. თუნდაც რამდენიმე წლის შემდეგ, მათი პოპულარობა გაფერმკრთალდება, შემდეგ უეცრად გაქრება, რამაც მათ ადამიანურ ღირსებებზე, შესაძლოა, დამთრგუნველად იმოქმედოს.

ხელოვნება ღმერთთან წილნაყარი ცნებაა, თუ არ დაიწვი, თუ არ გაეცი, თუ არ დაიხარჯე, თუ არ გეტკინა, თუ არ იტანჯე, თუ არ იტირე, თუ არ განიცადე, თუ გონების პრიზმაში არ გაატარე, მაშინ ეს ხელოვნება არ არის! ხელოვნება ხელოსნობა არ არის.

ნახევარი საუკუნის გავხდი (თითქმის), მოსემ 40 წლის ასაკში დაინახა მაყვლის ბუჩქზე ანთებული ცეცხლი და ესმა ხმა. მეც მესმა ხმა... მე არ მქონდა უფლება, ამ ხმას არ დავმორჩილებოდი... შიომღვიმის მონასტრის წინამძღვარმა მამა მიქაელმა კურთხევა მომცა, რომ არ მოეცა? დავარღვევდი პროექციის დუმილს?.. არ ვიცი... აი, ამიტომ დავარღვიე დუმილი.

პრემიერაზე არ დავღლილვარ. როცა გავაკეთე ყველაფერი, მერე დავიღალე... დამაგვიანდა „პაკლონზე“ გასვლა და მაყურებლისთვის მადლობის თქმა, ვერ გამიგეს და მისაყვედურეს, ძალიან ცუდ ხასიათზე დავდექი.

* * *

„დილისთვის გუნდს უკვე დაევიწყებინა საკუთარი სიგიჟე, – გუნდს და არა ფლეტჩერს.

– ის თუ გახსოვს, ჯონათან, რა თქვი დიდი ხნის წინ: უნდა გიყვარდეს გუნდი, დაუბრუნდე მას და ფრენა ასწავლოო?

– მახსოვს, რასაკვირველია.

– არ მესმის, როგორ შეგიძლია გიყვარდეს ფრინველთა ეს ბრბო, რომელიც ერთი წუთის წინ მზად იყო შუაზე გაეგლიჯე.

– ოჰ, ფლეტჩ, რასაკვირველია, სიძულვილი და ბოროტება არ უნდა გიყვარდეს! უნდა ვივარჯიშოთ და თითოეულ მათგანში ნამდვილი თოლია დავინახოთ, დავინახოთ მასში სიკეთე და დავეხმაროთ, რომ თვითონაც დაინახოს ეს საკუთარ თავში. აი, რას ვგულისხმობ სიყვარულში. კარგია, როცა ამას მარჯვედ აკეთებ. მაგალითისთვის, გავიხსენებ ერთ მძვინვარე ახალგაზრდა თოლიას, სახელად ფლეტჩერ ლინდს, გუნდიდან ახლადმოკვეთილსა და მასთან სასიკვდილო შეჭიდებისთვის მზადმყოფს, შორეულ კლდეებზე თავისი ცხოვრების მწარე ჯოჯოხეთის მშენებელს... ახლა ის აქ არის, ჯოჯოხეთის ნაცვლად ზეცას იშენებს და მთელი გუნდი ამ გეზით მიჰყავს...



სტუმარი

...ერთი წამის შემდეგ ჯონათანის აციმციმებული, უფრო და უფრო გამჭვირვალე სხეული ჰაერში ალივლივდა:

– არ დაანებო, რომ ჩემს შესახებ ბრიყვული ხმები დაყარონ ან კიდევ ღმერთად შემრაცხონ, კარგი ფლეტჩ? მე მავანი თოლია ვარ, შესაძლოა – ფრენაში შეყვარებული თოლია...

...– უპირველეს ყოვლისა, – მძიმედ წამოიწყო ფლეტჩერმა, – თქვენ უნდა გაიგოთ, რომ თოლია სხვა არაფერია, თუ არა თავისუფლების დაუსაზღვრავი იდეა, დიდი თოლიას ხატი და სახე, და რომ მთელი თქვენი სხეული, ერთი ფრთის წვერიდან მეორემდე, მხოლოდ და მხოლოდ თქვენივე აზრია... თოლია ფლეტჩერმა უცებ ისე დაინახა ისინი (სულ ერთი წამით!), როგორებიც სინამდვილეში იყვნენ. და კი არ მოეწონა მხოლოდ, – ფლეტჩერმა სიყვარული იგრძნო იმის მიმართ, რაც დაინახა.

– „მაშ არავითარი საზღვარი, ჯონათან?“ – გაიფიქრა და ბაგე ღიმილმა გაუპო. ის უკვე მიჰყვებოდა სწავლის მარათონს“...

(რიჩარდ ბახი, „თოლია ჯონათან ლივინგსტონ“)

* * *

ეს თოჯინა (მოლა) ცოტა ხნის წინ მაჩუქა ლილი იოსელიანმა, ალ ქაუსზე მუშაობაში ძალიან დამეხმარა.

ტელევიზორს არ ვუყურებ, საერთოდ არ მაქვს. როცა ტელევიზორს ვუყურებდი, ძალიან მეშინოდა, იმდენ ტყუილს ამბობდნენ ან ვერ ვიგებდი. ეთერში იჯდა ორი ადამიანი (არ ვასახელებ მათ ვინაობას), ერთი და იმავე საკითხზე აბსოლუტურად სხვადასხვა რამეს ამბობდნენ და არც ერთი მათგანი არ იყო მართალი. ინტერნეტის აქტიური მომხმარებელი ვარ. როცა ინტერნეტში პირველად დავაჭირე ღილაკს ხელი, მოვხვდი ლეონარდო და ვინჩის ჩანაწერების არქივში, საშუალება მომეცა 1809-10 წლების ჩანაწერების ტექსტი მენახა. საშუალება მომეცა მენახა, თუ როგორები იყვნენ რეალურ ცხოვრებაში ფროიდი, ტოლსტოი, იბსენი, რაც ჩემი პროფესიის აუცილებელ ატრიბუტიკას წარმოადგენს. მხოლოდ ეს ყველაფერი – ამ ინფორმაციის მიღება საინტერესოა განმარტოებით, ბნელ სივრცეში, გულმოდგინე მეცადინეობის შემდეგ, მარტო...

ვფიქრობ, რომ სინათლის სწორი გამოყენება (დელუკი, მე-19 საუკუნის უდიდესი ფიზიკოსი – ნამშრომი „სინათლე სწორი ალგებრისა“) – პატარა სწორი განათებით, სწორი სხივი პირამიდას ანათებს. ამდაგვარ განათებას კინემატოგრაფში გენიალურმა ადამიანებმა მიაღწიეს, თეატრშიც გენიალურმა ადამიანებმა მიაღწიეს – პარალელურ სხივთა გადაკვეთა და ზემოდან ჩამოშვებული სხივი იძლევა გალაქტიკის ფორმას. გამოსხივება ეს არის თავი და თავი სინათლის სწორი აგებულებისა, ანუ სინათლის სწორი ალგებრისა. მაგალითისთვის – ნიკო ფიროსმანაშვილის „გოგონა და ბუშტი“, ანდრეი ტარკოვსკი, აღარ უნდა მეტი ჩამოთვლა, ბევრნი არიან...

ალ ქაუსი ღმერთის ნება იყო, მე არ მიფიქრია. ალ ქაუსი 14 დღეში „ვქმენი“, უფრო სწორად, 14 რეპეტიციით...

ლილი იოსელიანი – ესეც ღვთის ნებაა. ერთ დღეს მივედი და დავჯექი და ჩემს წინ გადაიშალა უამრავი ხატები. გადავწყვიტე, დამერღვია დუმილი. ჩემ წინ იჯდა ადამიანი, რომელთანაც ადრეულ წლებში მომიხდა ურთიერთობა. ვთვლი, რომ ჩვენი პირველი შეხვედრა (გერმანელ დრამატურგის გერჰარდ ჰაუპტმანის „მშვიდობის დღესასწაული“) წარმატებით დამთავრდა. მეორე შეხვედრა იყო შექსპირის „ჰამლეტი“ – ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ, თეატრალურ სარდაფში უნდა შემდგარიყო პრემიერა 10 წლის წინ, მხოლოდ გენერალური რეპეტიციით დასრულდა. იმ დროს მე არ აღმოვჩნდი მზად ჰამლეტის ძნელი და ფსიქოლოგიური სახის შესაქმენლად. და აი, ათი წლის შემდეგ, მოზღვავებულ უბედურებათა თავსდამტყდარ ნაკადთა გაძლების შემდეგ, კვლავ შევხვდით და დავიწყეთ ყველაფერი თავიდან. რეალისტური სკოლის პირველი კლასის მოწაფე ვარ.

მაყურებელი მომნატრებია, კი ვიგრძენი და მივხვდი, რომ ძალიან მინდოდა, მაგრამ ეს ხომ ჩემი ნება არ იყო. „წიგნის“ რეპეტიციები კარგა ხნის დაწყებული იყო, მე მოგვიანებით შევედი, 14 რეპეტიცია გავიარე. ეს მცირე დროა, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ლილი იოსელიანთან წელიწადნახევარია ვმუშაობ, სამაგიდო სამუშაოს მოვრჩით და გვინდა სცენაზე გადავიტანოთ.

მე მინდოდა მეთქვა: *„...რომ ყველაფერს სამი აკეთებს. აი, ეს სამი. თქვენც სამნი ხართ. თქვენ სამნი რჩებით“...*

* * *

ჩემი რესპონდენტი აცხადებს, რომ ის ახლა რეალისტური სკოლის პირველი კლასის მოწაფეა, მე კიდევ ვლამობ ფრენის ხელოვნებიდან ცოტა რამ მაინც ვისწავლო, მისივე დახმარებით. ალბათ, რთულია ამის დაუფლება ისე, რომ „ზეცას იმ მომენტში შეეხო, როცა სრულქმნილ სისწრაფეს დაეუფლები“, რადგან ყოველგვარი რიცხვი დასაზღვრულია, სრულქმნილებას კი საზღვრები არ აქვს.

„...რასაც ვერ მივხვდი, კვლავ საიდუმლოა ჩემთვის. სიბრძნე გადამდები არ ყოფილა“.

ლალი ჯელაძე

თვალსაზრისი

ასომთავრულის დაბრუნება

მახსოვს, როგორ ცხარედ ვეკამათე ამას წინათ ჩემს კოლეგა-მეგობრებს (ფილოლოგებს). კამათის საგანს ქართულ ანბანში მთავრული ასოების უცხოა, არაბუნებრივია, რა საჭიროა გართულებაო და სხვ...

ამ წერილში შევეცდები დავასაბუთო, რატომ მიმაჩნია საჭიროდ ქართულ ანბანში მთავრული ასოების დამკვიდრება (დაბრუნება).

ქართული ასომთავრულის გამოყენებაზე საუბრობდა კათალიკოს პატრიარქი ილია მეორე 2010 წლის 10 ოქტომბრის საკვირაო ქადაგებაში სამების ტაძარში. კერძოდ, მან აღნიშნა: „თავად თუ არ გავუფრთხილდით ჩვენს ენას, სხვა მით უმეტეს არ გაუფრთხილდება! ქართულმა ენამ გადაარჩინა ჩვენი ერი და ქართული ენა და ჩვენი სარწმუნოება გადაარჩენს მას ასევე მომავალშიც. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ კარგად უნდა ვიცოდეთ ქართული ენა, ჩვენი დამწერლობა, სამივე ანბანი. ვფიქრობ, რომ დაწესებულებებზე წარწერა უნდა იყოს სამივე ქართული ანბანით. ეს ხელს შეუწყობს ჩვენს მოსახლეობას თვალი შეაჩვიოს და შეისწავლოს სამივე დამწერლობა: ასომთავრული, ნუსხა-ხუცური და მხედრული“ („საპატრიარქოს უწყებანი“, 14-20 ოქტომბერი, 2010 წ., №33 (561), გვ. 5).

ზემოთ აღვნიშნეთ, დღეს ყველა ანბანური დამწერლობა იყენებს მთავრულ ასოებს-მეთქი. ყოველ შემთხვევაში, მე რაც ვიცი, მინახავს და გამიგია – ასეა. მთავრულ ასოებს იყენებენ ლათინურზე დაფუძნებული ენა-დამწერლობები (ინგლისურ-ფრანგულ-ესპანური...), სლავურზე დაფუძნებული, სომხური და ა. შ.

რატომ იყენებენ მთავრულ ასოებს? გარდა იმისა, რომ მთავრული ასოები (ანბანი საერთოდ) ერის (კაცობრიობის) მიერ შექმნილი ერთ-ერთი უდიდესი კულტურული ძეგლია, მის დამწერლობაში გამოყენებას დიდი გამოყენებითი (პრაგმატული) მნიშვნელობა და ფუნქცია აქვს. მთავრული ასოები ტექსტს აწესრიგებს, ალამაზებს. შესაბამისად, ასეთი ტექსტი წასაკითხად უფრო მიმზიდველია, ადვილია. ასეთი ტექსტიდან ინფორმაციის ამოღება გაცილებით მარტივია თვალისთვისაც და გონებისთვისაც.

ჩვენ თვალი ქართულ მხედრულად დაბეჭდილ ტექსტებზე გვაქვს მიჩვეული და ტექსტი რომ მთავრული ასოების გამოყენებით დავწეროთ, წაკითხვა უფრო გაგვიჭირდება და არა გაგვიიოლდება. იმის თვალსაჩინოდ, თუ როგორი რთულია მთავრული ასოების გარეშე დაბეჭდილი ტექსტის წაკითვა, ასეთ სავარჯიშოს შემოგთავაზებთ:

აიღეთ რომელიმე ევროპულ ენაზე (ინგლისურად, ფრანგულად, რუსულად...) დაბეჭდილი ერთგვერდიანი ტექსტი. ნუ დაიზარებთ და ეს ტექსტი აკრიფეთ ისე, რომ არ გამოიყენოთ მთავრული ასოები. შემდეგ შეადარეთ ორი ტექსტი ერთმანეთს. მე მგონი, განსხვავებას შეამჩნევთ...

შეიძლება, გაგიგონიათ, ქართულ ანბანს არ აქვს მთავრული (საზედაო, დიდი) ასოებიო. ჯერ ერთი, რომც არ ჰქონოდა, უნდა გამოგვეგონებინა და მეორეც, აბა, ასომთავრული (მრგვლოვანი) ასოები რა არის? საცოდაობა არ არის, ქართველი ერის ერთ-ერთი გენიალური გამონაგონი ასე უხმარი და გამოუყენებელი, ასე სამუზეუმო ექსპონატად განწირული იყოს? მით უმეტეს, რომ მიგვაჩნია: მთავრული ასოების გამოყენებას დიდი პრაგმატული დანიშნულებაც აქვს (ესთეტიკურის გარდა).

ჩემი მეგობარ-ფილოლოგები ამბობდნენ, ამის (მთავრული ასოების გამოყენების) ტრადიცია ქართველებს არ გვაქვსო. მეც იმას ვეუბნებოდი, რომ ძალიან ცუდია, რომ არ გვაქვს და უნდა შევქმნათ ეს ტრადიცია-თქო.

ისე, არც ისაა მართალი, რომ მთავრული ასოების გამოყენების ტრადიცია არ გვაქვს. მთავრულ ასოებს დღემდე იყენებს ქართული ეკლესია (ყველაზე ტრადიციული ქართული მწიგნობრული ინსტიტუცია) ნუსხა-ხუცურ გამოცემებში. ამაში ადვილად დარწმუნდებით, თუ ნებისმიერ საეკლესიო მაღაზიაში შეივლით და ხუცურად გამოცემულ რომელიმე წიგნს მოიკითხავთ (თან წაიკითხავთ...).

მხედრულ ბეჭდვით გამოცემებშიც არსებობს მთავრული ასოების გამოყენების ტრადიცია. მაგალითისათვის იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ გამოცემები შეგვიძლია დავასახელოთ. აქ იაკობი მთავრულ (საზედაო) ასოებად მხედრულ ასოებსვე იყენებს, რომლებიც უფრო დიდი და მსხვილი შრიფტითაა დაბეჭდილი ხაზს ზემოთ.

ასეთივე მცდელობა ჰქონდა აკაკი შანიძეს, როდესაც საკუთარი ნაშრომი გამოსცა „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. აკაკი შანიძე მთავრულ ასოებად ასომთავრულ (მრგვლოვან) ასოებს იყენებს (სამწუხაროდ, ამჟამად ხელთ არ მაქვს ეს წიგნი და ზუსტად ვერ ვუთითებ გამოცემის წელსა და ადგილს. ვფიქრობ, დაინტერესებულ ადამიანს არ გაუჭირდება მისი მოძიება).

ქართულ კალიგრაფიულ სკოლაში არათუ გამოიყენებოდა მთავრული ასოები, არამედ ამის მყარი ტრადიციაც არსებობდა. სამაგალითოდ დავასახელებთ XVIII-XIX საუკუნეების მესხიშვილთა დინასტიას, რომელსაც სათავე დაუდო ალექსი გრიგოლის ძე მესხიშვილმა (ანჩისხატის ეკლესიის დეკანოზი, XVIII საუკუნის შუახანების კალიგრაფი). ალექსი მესხიშვილის შესახებ იოანე ბატონიშვილი წერს: „ესე იყო მეცნიერი კაცი, მოძღუარი სულიერი ანტონ კათალიკოზისა, მწერალი ხუცურისა და მხედრულისა, რომელიც ღირს ქებისა არს ნაწერებისაგან. ამან მრავალნი საღმრთო წერილნი და ისტორიანი გადასწერნა. და ამან კეთილად აღზარდა შვილნი თვისნი გიორგი, სოლომონ და დავით, რომელთაც ასწავლნა სამეცნიერო წერილნი, საღმრთონი და მგალობლობაცა...“ (ვახტანგ ბერიძე, „ძველი ქართველი ოსტატები“, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1967, გვ. 154, 157).

ალექსი მესხიშვილის მიერ გადაწერილი რჯულის კანონი კალიგრაფიული ნაწერი არაა. იგი სწრაფი ხელითაა ნაწერი და ნასწორებიცაა. აქაც კი, ანუ გაკრული ხელით ნაწერში, გამოყენებულია მთავრული ასოები – ასომთავრული (იქვე, გვ. 155, ხელნაწერი A 344).

განსაკუთრებულ კალიგრაფიულ ოსტატობას მიაღწია სოლომონ ალექსის ძე მესხიშვილმა (ანჩისხატის დეკანოზი 1791-1808 წლებში). „კალმასობაში“ ვკითხულობთ: „ამათაც (ალექსის ვაჟებმა) ისწავეს ხუცურისა და მხედრულის წერა, გარნა მხედრულის წერასა შინა ჯერეთცა არც ძველად და არც ახლად არავინ თქმულან უკეთეს ამათსა, და მეტადრე სოლომონ დეკანოზისა“ (იქვე, გვ. 160).

ვახტანგ ბერიძე სოლომონ მესხიშვილის ნაწერის შესახებ აღნიშნავს: „სოლომონის მხედრული ასოები ძალიან სასიამოვნო პროპორციისაა, სტრიქონებს ზემოთ ატანილი ასოებიც (ასომთავრული – გ.ჭ.) ზომიერია, **თვალს არ აჭრელებს** (ხაზგასმა ყველგან ჩვენია – გ. ჭ.), ნაწერი თითქოს „მშვიდია“, მკაფიო, სანახავად სასიამოვნო და **საკითხავად ადვილი**“ (იქვე, გვ. 162, აქვეა ხელნაწერთა ფოტოპირებიც).

რა თქმა უნდა, თანამედროვე ანბანში მთავრული ასოების შემოტანა მარტივად გადასაწყვეტი საკითხი არაა. ამას სხვადასხვა მიმართულების პროფესიონალთა დიდი მუშაობა სჭირდება. ჩვენ, უბრალოდ, ჩვენი აზრი წარმოვადგინეთ ამ წერილში, რომელსაც სოლომონ მესხიშვილის სიტყვებით დავასრულებთ: „ვითარცა ცას ვერ იხილავთ, რომ არა აქვნდეს მცირედი ღრუბელი, აგრეთვე ჩემ მიერ ნაჩხაბი ეგრეთ არს...“

გიორგი ჭაუჭიძე
ჩივთკილისის საჯარო სკოლის პედაგოგი

საგანმანათლებლო კერა

გურიის უდაბნო

გურიის უდაბნოს იოანე ნათლისმცემლის სამონასტრო კომპლექსი (მამათა) მდებარეობს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგანახლებაში (სოფლის ძვ. სახელწოდება – ამაღლება). მონასტრის შესახებ ისტორია მწირია, რაც მოგვეპოვება, ისიც საკმარისია იმის დასტურად, რომ მონასტერი თავის ფუნქციას ასრულებდა პირნათლად. ამაღლების მონასტერი არა მხოლოდ რელიგიური ძეგლის სახელითაა ცნობილი, არამედ – მნიშვნელოვანი საგანმანათლებო ცენტრისაც. აქ, მონასტრის დაარსების დღიდან, იყო სწავლების „ცხელი კერა“ და, სავარაუდოდ, ადგილსაც ამიტომ ეწოდა უდაბნო (ცხელი ადგილი დედამიწაზე). სიტყვა „უდაბნო“ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში განმარტებულია, როგორც განმარტოებით მდგარი მონასტერი. სიტყვა „უდაბნოს“ განმარტებებიდან გამომდინარე, ორივე შეესაბამება სამონასტრო კომპლექსს.

უდაბნოს მონასტერი თვალსაჩინო როლს ასრულებდა აღმოსავლეთ გურიის კულტურულ ცხოვრებაში. დიდი ხნის განმავლობაში მონასტრის სამრევლო სკოლა ერთადერთი სასწავლებელი იყო გურიის ზემო მხარის იმ რეგიონში, რომელიც შემდეგ ჩოხატაურის რაიონში შევიდა. ამ სკოლაში ეუფლებოდნენ დაწყებით სასულიერო განათლებას ზემო გურიისა და საჯავახოს ხევის ახალგაზრდები. იქვე აღიზარდნენ ნიკო ბერძენიშვილის მშობლები და ბიძები. სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა ნიკო ბერძენიშვილის დიდი ინტერესი უდაბნოსადმი.

„მე აქ ვნახე შვიდი ბერი და ათამდე ბიჭი, რომლებიც ქართულ წერა-კითხვას სწავლობდნენ (ეს იყო 1873 წელს). უდაბნოში არის ძველი ხელნაწერების პატარა ბიბლიოთეკა. ხელნაწერთა შორის აღმოჩნდა: სახარების თარგმანები იოანე ოქროპირისა და მეტაფრასი ანუ წმინდანთა ცხოვრება, ორივე სქელ ეტრატზე ნაწერი. ასომთავრულის დამწერლობა ცხადყოფს, რომ ხელნაწერები ძალზე ძველია. ყველაზე საინტერესო ხელნაწერია დავთარი ანუ უდაბნოს 29 გუჯარის კრებული (მასში ჩამოთვლილია გურიელების, ერისთავებისა და სხვა სამღვდელოთა თუ ერისკაცთა შემოწირულობანი უდაბნოსადმი)“.

დიმიტრი ბაქრაძემ ასე აღგვიწერა გურიის უდაბნოს მონასტერი: ბიბლიოთეკაში იყო აგრეთვე ნაბეჭდი წიგნების მნიშვნელოვანი ფონდი. ეს წიგნები სხვადასხვა დროს შეუწირავთ იმერეთის მეფეებს, დედოფლებს, კათალიკოსებს. აქვე ინახებოდა ბაქარისეული ბიბლიაც.

ინფორმაციის ეს წყაროები ადასტურებენ უდაბნოს მონასტრის საგანმანათლებლო კერის არსებობას. აქ მიმდინარეობდა წიგნების გადაწერა (8 კგ-დან დაწყებული 32 კგ-მდე).

„გურიის უდაბნო (ნიგოით – საჯავახოს ქედის სამხრეთ კალთაზე, ჩოხატაურიდან 5-6 კილომეტრის დაშორებით) ძველად ქართული კულტურის თვალსაჩინო კერა იყო. მამაჩემმა იქ მიიღო განათლება, სხვა მისმა უმცროსმა ძმებმა, ჩემმა ბიძებმა, აგრეთვე.

გიმნაზიელი რომ ვიყავ, მოვინახულე ეს უდაბნო და იქიდან წამოვიღე ერთი დაშლილი ხელნაწერი, ხუცურად ნაწერი მე-17 საუკუნის ხელით; იგი ქუთაისში ყდაში ჩავასმევინე. შემდეგ 1920 წელს რომ ვიყავი უდაბნოში, ამ ხელნაწერის რამდენიმე ფურცელი ვიპოვე, რომლებიც წამოვიღე და ყდაში ჩასმულს შევუერთე. ამავე 1920 წელს უდაბნოდან წამოვიღე ორი ძველი ქართული ხელნაწერი, ერთი მე-10 საუკუნის მრავალთავი და მეორე მე-12 საუკუნის ხელნაწერი, რომელიც იოვანე ოქროპირის თხზულებას შეიცავს. ყველა ესენი მე იმავე წელს მუზეუმს ჩავაბარე. მრავალთავის ტექსტს გამოსაცემად ამზადებს თბილისის უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრა, რომლის გამგე მე გახლავართ. ვწუხვართ, რომ არ წამოვიღე იქიდან ხელნაწერებიც, რომლებიც შემდეგ დაიღუპა“ – წერდა აკაკი შანიძე.

მონასტრის მოღვაწენი აქტიურად საქმიანობდნენ კულტურისა და განათლების ფრონტზე. წინამძღვარ იოსებ ტუსკიას მონაწილეობა მიუღია შემოქმედის გულანის გადაწერაში.

უდაბნოს მრავალთავი 46 ძეგლს შეიცავს, მეცნიერთაგან პირველმა დიმიტრი ბაქრაძემ ინახულა და მოკლედაც აღწერა, მაგრამ თარიღს არ შეხებია. მრავალთავის შედგენის ადგილსა და დროზე სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. ექვთიმე თაყაიშვილი მას შატბერდში შექმნილ ძეგლად მიიჩნევს. მრავალთავის შედგენას ამაღლების მონასტერში ბევრი მეცნიერი შესაძლებლად მიიჩნევს. მრავალთავის გარდა, უდაბნოდანაა XII საუკუნის შესანიშნავი ხელნაწერი და შუასაუკუნეთა ხანის რამდენიმე ხელნაწერი კრებული.

ნათია კალანდაძე
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანების დირექტორი

ინფორმაცია

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ **ნოდარ სურგულაძემ** კონკურსის „ფიზიკა ყველგან და ყოველთვის“ გამარჯვებულები დააჯილდოვა. საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთათვის განკუთვნილი კონკურსი სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა და მისი ორგანიზატორი თბილისის 63-ე საჯარო სკოლა იყო.

კონკურსი „ფიზიკა ყველგან და ყოველთვის“ ოთხი მიმართულებით ჩატარდა (ფიზიკა ჩვენს ირგვლივ; ფიზიკა ჩემს მომავალ პროფესიაში; ფიზიკა ხელოვნებაში; ფიზიკა – ეკოლოგია) და მიზნად ისახავდა მეცნიერებათა მიღწევების გაცნობას და მათ დაკავშირებას ყოველდღიურობასთან, მომავალ პროფესიასთან, იმ გამოცდილების შეძენასთან, რომელიც მოსწავლეებს ცხოვრებისეული პრობლემების გადასაჭრელად გამოადგებათ. ასევე, მოსწავლეებში კვლევის, სამყაროსა და გარემოს შესწავლის, მისი დაცვის ჩვევების გამომუშავებას.

კონკურსში საქართველოს 237 სკოლიდან 400-მდე მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. წარმოდგენილი იყო 310 საკონკურსო თემა. ჟიურის მიერ, რომლის შემადგენლობაშიც ცნობილი მეცნიერები და №63 საჯარო სკოლის ფიზიკის პედაგოგები შედიოდნენ, 12 საუკეთესო ნაშრომი შეირჩა.

გამარჯვებული პროექტის ავტორს საჩუქრად პერსონალური კომპიუტერი გადაეცა. დასკვნითი ტურის ყველა მონაწილეკი, დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

გოეთეს დღეები - 2011

„ვინც უცხო ენებს არ იცნობს, მან საკუთარის შესახებაც არაფერი იცის“ – ამბობს „ვაიმარელ ბრძენად“ წოდებული დიდი გერმანელი მწერალი იოჰან ვოლფგანგ ფონ გოეთე. ორას წელზე მეტია, გოეთეს სიტყვები გამართლებას პოულობს არა მარტო რუსთაველის ქვეყანაში. მართლაც წარმოუდგენელია დღევანდელი პროფესიულ, სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა უცხო ენების ცოდნის გარეშე.

1995 წლიდან, საქართველოში, ტარდება, უკვე კარგად ცნობილი, „გოეთეს დღეები“. ყოველწლიურად, მარტში – მწერლის გარდაცვალების დღეს იწყება და მაისის დამდეგს მთავრდება. ქუთაისის აკ.წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი წელსაც „Goethe Tage“-ის ორგანიზატორი იყო. მის ჩატარებას ხელმძღვანელობს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი **ნანული კაკაურიძე** (გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარე) და ფრანგულ-გერმანული ენების დეპარტამენტი (ხელმძღვანელი – პროფესორი **ელისო ქორიძე**). პროგრამა მოიცავდა პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებს, გერმანული ფილმების რეტროსპექტულ ჩვენებას, ლიტერატურულ კომპოზიციებს. ღონისძიებებში აქტიურად იყვნენ ჩართული უნივერსიტეტში მოღვაწე გერმანელი ლექტორები.

აღსანიშნავია, რომ გოეთეს დღეებისადმი მიძღვნილ პროექტში რეგიონის საჯარო სკოლებიც მონაწილეობდნენ. საინტერესო ნამუშევრები წარმოადგინეს ქუთაისის №7, №23, №18, №5 და სოფ. გეგუთის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა და მათმა გერმანული ენის მასწავლებლებმა. კურსების საჯარო სკოლამ (დირექტორი – **თამარ ზარნაძე**) წარმოადგინა სლაიდ-შოუ, სათაურით „Entdecke Deutshland und erfinde die Deutschen“ (აღმოაჩინე გერმანია და გერმანელები).

29 აპრილს, უნივერსიტეტის დარბაზში, გაიმართა გერმანული კლასიკური მუსიკის კონცერტი, მონაწილეობდნენ ქუთაისის უმაღლესი სამუსიკო კოლეჯის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები; დაჯილდოვდნენ „გოეთეს დღეები – 2011“-ში მონაწილე სკოლების გერმანული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები, ასევე თარგმანის კონკურსში გამარჯვებული სტუდენტები. მონაწილეებს გადაეცათ გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების ქუთაისის განყოფილების პრეზიდიუმის საპატიო დიპლომები და ფულადი ჯილდოები (ფინანსური მხარდამჭერი – გერმანიაში გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების საპატიო პრეზიდენტი, პროფესორი **ვერნერ კელერი**).

პროექტში მონაწილეობამ დიდი გამოცდილება შესძინა კურსების საჯარო სკოლის მოსწავლეებს და კიდევ უფრო გააძლიერა მათი მოტივაცია გერმანული ენისა და ლიტერატურის შესწავლისადმი.

გვინდა, შემდგომი წარმატებები ვუსურვოთ ყველა მონაწილეს და მადლობა გადავუხადოთ აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელთანაც ჩვენს სკოლას წლებია მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებს და გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას ასეთი წარმატებული პროექტის განხორციელებისათვის.

ნატო აბესაძე,
მაია მაღლაფერიძე
ტყიბულის რაიონის კურსების საჯარო სკოლის გერმანული ენის პედაგოგები

დამხმარე სასწავლო მასალა

სწავლება თავშექცევით

რამდენიმე წელია წიგნის მაღაზიის თაროებზე მყარად დაიმკვიდრეს ადგილი **ვიოლეტა კვირიკაშვილის** სახალისო შეკითხვების კრებულებმა: **„სკუპ-სკუპით სკოლისაკენ“, „პატარა ინტელექტუალი 1, 2, 3“, „ინტელექტუალი I, II“**. წიგნებით მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, იმოგზაურონ ცოდნის სამყაროში, გაიფართოონ თვალსაწიერი და დაუსრულებლად ეძიონ პასუხი ახალსა და შეუცნობელზე. კრებულები დიდ ინტერესს აღძრავენ მეცნიერების თითქმის ყველა დარგში (მშობლიური ენა და ლიტერატურა, ისტორია, გეოგრაფია, ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია, მათემატიკა, რელიგია...) თითოეული სფერო 100 კითხვისგან შედგება და განსაკუთრებული სიმბოლოთია აღნიშნული. პასუხები შესაბამისი სიმბოლიკით შეკითხვების უკანა მხარესაა მოცემული.

როდესაც ბავშვი 10 გვერდს გაივლის, ანუ 100 შეკითხვას გასცემს პასუხს, უკანა გვერდზე თვითონვე ამოწმებს საკუთარი პასუხის სისწორეს და იწყებს მიღებული ქულების დათვლას. შემდგენელი ითვალისწინებს მოზარდების განსხვავებული ცოდნის დონეს და გონებრივ შესაძლებლობებს. გულნაკლულს არავის ტოვებს: 100 შეკითხვის შემდეგ ყოველ მათგანს ელოდება მიღებული ქულების შესაბამისი წამახალისებელი ჯილდო.

გაცემულ პასუხებში ვლინდება და ყალიბდება ბავშვის ალღო, ცოდნის დონე, მიხვედრის და დამოუკიდებელი, ლოგიკური აზროვნების უნარი, მისი კრიტიკული დამოკიდებულება საკუთარი თავის მიმართ. ის ხომ თვითონ აფასებს საკუთარი პასუხების სისწორეს და თვითონვე წყვეტს, თუ რა ჯილდო დაიმსახურა. ეს ხერხი მეტად საინტერესოს ხდის ბავშვის შემოქმედებით საქმიანობას, უნერგავს გამარჯვების სიხარულს, ასწავლის მიზნისკენ სწრაფვას, აჩვევს გამძლეობას, ასწავლის ძიების გზებს.

„სახალისო შეკითხვები“ ძუნწი დახასიათებაა წიგნის შინაარსისა და ღირებულებისა. ეს არის დიდი ცოდნისა და ზღვა ინფორმაციის მიმცემი, მრავალი კარგი თვისების ჩამნერგავი თამაში.

შეკითხვები ოსტატობით, ნათლად და მარტივად არის დასმული. აქ არ არის ერთფეროვნება: ყველა შეკითხვა არ საჭიროებს პირდაპირ პასუხს, მათი ნაწილი მოზარდისგან დაკვირვების უნარს, ლოგიკურ აზროვნებას და მიხვედრილობას მოითხოვს. ბევრია იუმორი.

განუზომელი შრომაა გაწეული. რა შინაარსის შეკითხვა გინდათ, რომ არ იყოს აქ! კრებულს თამამად შეიძლება ეწოდოს ახლებური მეთოდიკით შედგენილი საბავშვო ენციკლოპედია გეოგრაფიაში, ისტორიაში, ბიოლოგიასა თუ ხელოვნებაში.

ეს არის მიგნება, თუ როგორ მოვახდინოთ ბავშვის ყურადღების მობილიზება ამა თუ იმ მიმართულებით. ეს არის დამოუკიდებელად და საღად მოაზროვნე ადამიანის ჩამოყალიბების ერთ-ერთი საუკეთესო გზა.

კომპლექტი შედგება 6 წიგნისგან. თითოეული მათგანი დამუშავებულია შესაბამისი ასაკის ბავშვის ფსიქოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით, კლასების შესაბამისად.

წიგნები გამოიცემა 2005 წლიდან, როგორც დამხმარე სასწავლო მასალა და თანაბარი წარმატებით გამოიყენება საბავშვო ბაღებში, სკოლებსა და ოჯახებში ინდივიდუალური ან ჯგუფური მეცადინეობისათვის. პედაგოგები მათ თანაბარი წარმატებით იყენებენ სოციალურად დაუცველ, მზრუნველობამოკლებულ ბავშვებთან და მცირეწლოვან დამნაშავეებთან მუშაობისას სასჯელაღსრულების დაწესებულებებშიც. წიგნები პოპულარობით სარგებლობენ აგრეთვე საზღვარგარეთ მცხოვრებ პატარა ქართველებში (საინგილო, ფერეიდანი, საბერძნეთი, ნიუ იორკისა და ვაშინგტონის საკვირაო სკოლები...), კრებულები მოწონებულია საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის მიერ. ავტორს წიგნებისათვის მინიჭებული აქვს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემია.

თითოეული მათგანის ღირებულებაა 5 ლარი. შეძენა შეიძლება როგორც კომპლექტის, ისე ცალკეული წიგნის სახით.

გთავაზობთ შეკითხვების ნიმუშებს:

„პატარა ინტელექტუალი 2“-დან 9–10 წლის ბავშვებისთვის

1. ეტლმა, რომელშიც შეგმული იყო 4 ცხენი, გაიარა 24 კმ. რამდენი კილომეტრი გაიარა თითოეულმა ცხენმა?

2. რას გულისხმობს პოეტი ნათქვამში: „ტყემალი გამოსულა პერანგის ამარა“?

3. რა არის ქრისტიანისთვის უპირველესი და აუცილებელი?
იცოდეს გალობა, იყოს მონათლული, იცოდეს უცხო ენები.

4. საით უნდა გაჰყვე გზილიკს, თუ გზა აგებნა?

5. ვინ იგონებს ცეკვის მოძრაობებს და დგამს ცეკვებს?
ქორეოგრაფი, ქორმაისტერი, სცენარისტი, რეჟისორი.

6. რას „ამტკიცებს“ ცხვირი?
თანამოსაუბრის ნათქვამს, კანონს, თეორემას.

7. რამდენი შეუსაბამობაა?
რაჭულმა მამალმა იმერეთისა და ხევსურეთის საზღვარზე კვერცხი დადო. ვის ეკუთვნის კვერცხი – ხევსურეთს თუ იმერეთს?

8. წინაპართა რომელი სანუკვარი სურვილია გამოხატული ქართულ მისალმება-დამშვიდობებაში?

9. სად დაასახლა უფალმა პირველი ადამიანები?
ქოხში, სამოთხეში, გამოქვაბულში.

10. რისი გადახდა არ შეიძლება?
ბოდიშის, ვალის, მადლობის.

11. შეიძლება თუ არა ოთხკუთხედს ვუწოდოთ კვადრატი, თუ მისი ოთხივე გვერდი ტოლია?

12. რა სიტყვას მალავს შიგპასუხა?
„მახურავს და მაცვია ტანზე მისი ნაცვამი,
მისგან მოწვდილ ტკბილ სასმელს შევატანე ნამცხვარი“.

13. ავტომანქანა „ჯიპის“ რომელი თვალი არ ბრუნავს გზატკეცილზე მოძრაობის დროს?

14. რის ნაკლებობას არ უჩივის არასდროს ადამიანი?
ქონების, ფულის, ძალ-ღონის, ჭკუის.

15. სად შოულობს ოგობა ქსელისათვის საჭირო ძაფებს?
ბუნებაში, თვითონ აქვს მუცელში, ელიავას ბაზრობაზე.

„პატარა ინტელექტუალი 3“-დან 10–11 წლის ბავშვებისთვის

1. რომელი მცენარის მოსავლის აღებას უკავშირდება ივლისის ძველ-ქართული სახელი „მკათათვე“?
სიმინდის, ხორბლის, კარტოფილის.

2. რომელია ზედმეტი?
ზერელედ, მიფუჩეჩებულად, უგულოდ, უამხანაგოდ.

3. შეარჩიე წყვილი, სადაც არის „ნაწილი-მთელი“:
იმერეთი-საქართველო, ქართლი-კახეთი, დღე-სინათლე, ცეცხლი-ნავთი.

4. რა ჰქვია კახეთის ყველაზე მაღალ მთას?
ცივი, გრილი, თბილი, ნელთბილი.

5. მოცემული ლათინური სიტყვებით ააწყვე წინადადება: „წინწაუსვლელობა არის უკუსვლა“.
რეგრედი ესტ ნონ პროგრედი.

5. რამდენი გამოცანაა: „მამა – დაგრეხილი, დედა – დაჭყლეტილი, შვილი – გადარეული“?

7. რამდენი პასუხი შეიძლება ჰქონდეს ამოცანას?
ლადოსა და მარის შორის სხვაობა 9 წელია. რამდენი წლისაა მარი, თუ ლადო 16 წლისაა?

8. ვისი სიტყვებია: „ეძებეთ და იპოვით, დააკაკუნეთ და გაგიღებენ!“

9. მუსიკოსის მამის შვილი მხატვარია. რა არიან ერთმანეთისთვის მხატვარი და მუსიკოსი?

10. რომელი წარწერა ამშვენებს საქართველოს გერბს?
„ძალა ერთობაშია“, „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი“, „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“.

11. რას გულისხმობს პოეტი ნათქვამში: „მას გეცილების ვერავინ, არ არის გასაყოფელი“?
ცოდნას, ქონებას, მამულს.

12. რას იტყვის მეფრინველე?
21 ფრთა მყავს, 21 სული მყავს, 21 კომლი მყავს.

„ინტელექტუალი I“-დან 12–13 წლის მოზარდებისთვის

1. რომელია განსაზღვრების სინონიმი?
ეპითეტი, შედარება, ჰიპერბოლა, მეტაფორა.

2. რა ჰქვია კომბოსტოს ან თალგამის ნაყოფს?
ბუკიოტი, ბუ, ჭოტი, ძერა.

3. რა ჰქვია დიდ ისტორიულ მონაკვეთს?
ეპოქა, ერა, სტადია, პერიოდი, ხანა.

4. რომელი მათგანი შეისწავლის ზეპირმეტყველების კანონებს?
ფონეტიკა, ორთოგრაფია, ორთოპედია, პუნქტუაცია.

5. რა ჰქვია ფრინველის ნაზ, მოხდენილ სიარულს?
როკვა, გოგვა, ირაო, ბაჯბაღი, რონინი.

6. რას ნახავს რომში ჩასული ტურისტი?
აია სოფიას ტაძარს, ელისეს მინდვრებს, კაპიტოლიუმს.

7. სად მოახდინა მაცხოვარმა პირველი სასწაული?
ტაძარში, ქორწილში, ზღვაში.

8. რომელი სიმებიანი ინსტრუმენტია გამოსახული ძველ ეგვიპტურ ნახატებში?
ვიოლინო, არფა, როიალი, კონტრაბასი.

9. რამდენი ადამიანია ჩამონათვალში: ვასკო და გამა, ლეონარდო და ვინჩი, ტრისტან და იზოლდა?

10. სპორტის რომელ სახეობაშია განსხვავებული სიმაღლის ბადეები ქალებისა და კაცებისათვის?
ფრენბურთში, ჩოგბურთში, კალათბურთში, ფეხბურთში.

11. სუნთქავენ თუ არა ფრინველები ფრენის დროს?

12. რომელ ლითონს იყენებენ ქირურგიაში სისხლძარღვების გასაკერად?
ოქროს, ტანტალს, პლატინას, სპინლენძს, ფოლადს.

13. რა ჰქვია მხატვრის ფუნჯს?
ყალამი, ჩალამი, კალამი, წალამი.

14. შეიძლება თუ არა კომპასის მეშვეობით მიწისძვეშა რკინის მადნის აღმოჩენა?

15. რომელი უცხოური ფირმა აწარმოებს მობილურ ტელეფონებს?
კოლტი, ადიდასი, მოტოროლა, იამაჰა.

„ინტელექტუალი II“-დან 14–15 წლის მოზარდებისთვის

1. ქართველთა რომელ ბრძოლაში იხილეს გაცხადებულად წმ. გიორგი?
ბაზალეთის, დიდგორის, კრწანისის, შამქორის.

2. ვისი სადიდებელია „შენ ხარ ვენახი“?
ვაზის, მარიამ ღვთისმშობლის, საქართველოსი.

3. როგორ ჟღერს ლათინურად ოლიმპიური თამაშების დევიზი „უფრო სწრაფად, უფრო მაღლა, უფრო შორს“?
1. იგნი ეტ ფერსო, 2. იგნოტუმ პერ იგნოტუს, 3. ციტიუს ალტიუს ფორტიუს.

4. ლეგენდის თანახმად, რომელი ბარბაროსი მეფე დაკრძალეს მდინარე ტისას ფსკერზე?
არტური, ატილა, ფილიპე, ფერდინანდი.

5. როგორი სამკუთხედის სიმაღლეები არ იკვეთება სამკუთხედის შიგნით?
მართხკუთხა, ტოლფერდა, ტოლგვერდა, ბლაგვკუთხა.

6. რომელი ზღვა არ არის გამოყოფილი ოკეანისგან და არ გააჩნია მუდმივი საზღვრები?
ოხოტის, ბარენცის, სარგასის, ადრიატიკის.

7. რა ეწოდება ჯერ კიდევ შეუმშრალ გათქაშზე წასმული საღებავით შესრულებულ ნახატს?
მოზაიკა, ვიტრაჟი, ფრესკა.

8. სპორტის რომელი სახეობის სახელებია: ოკრიბულა, აფხაზური, კოლხური?
კრივის, ჭადრაკის, ჭიდაობის, ცურვის.

9. რომელმა ცხოველმა გადაარჩინა მუსულმანთა შემოსევის დროს ნეკრესის ეკლესია და იძ შეფარებული მოსახლეობა?
ძაღლმა, ხარმა, ცხვარმა, ღორმა, მგელმა.

10. რომელი უძველესი ანბანი შედგებოდა მხოლოდ თანხმოვნებისაგან?
ფინიკიური, ბერძნული, ეგვიპტური.

11. რომელი ვულკანის ამოფრქვევას ემსხვერპლა ქალაქი პომპეი?
ეტნას, ვეზუვის, სტრომბოლის.

12. რა ენაზე ლაპარაკობდა მაცხოვარი?
არამეულზე, ივრითზე, არაბულზე, ფინიკიურზე.

წიგნების შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით 20 ივნისამდე.
ვიოლეტა კვირიკაშვილი – ტელ.: 890 516175, 893 134881, ელფოსტა: violeta.kvirikashvili@yahoo.com
„ახალი განათლების“ რედაქცია – 890 958023; 958023.
შეკვეთის შემთხვევაში, წიგნს მიიღებთ ახალი სასწავლო წლის დასაწყისში – სექტემბერში

მოსწავლე შემოქმედი

ორი პოეტი, ორი თბილისი, ორგვარი განცდა



გიორგი შაკაია
სკოლა „სარკმელი“, IX კლასი

შევადარებ

შევადარებ მღვიმის ბოლოს,
იმედიან, მზიდველ ნათელს,
შევადარებ ხატების წინ
თავმდაბლობით გამლღვარ სანთელს.
შემიძლია მას ვუწოდო
არსი ჩემი ცხოვრებისა,
ჩემი გულის გათბობისა,
ჩემი სულის ცხონებისა.
კაეშანი ვერ მაჯობებს,
კალამს მტრობდა იგი კრული,
პოეზიას ვემონები,
ნაზი სიტყვით ხელშეკრული.

ქართველ პოეტებს, იოსებ გრიშაშვილსა და ლადო ასათიანს, უზომოდ უყვარდათ თბილისი, თავიანთი ქვეყანა და ქართული პოეზია. იოსებ გრიშაშვილი თბილისში დაიბადა და პატარაობიდანვე გაითავისა მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის თბილისური გარემო, მაშინდელი უბრალო თბილისელების ყოფა, საუბრის მანერა, გემოვნება.

ლადო ასათიანი ქუთაისში დაიბადა, იქ დაამთავრა პედაგოგიური ინსტიტუტი და იქ გაატარა ყმაწვილობა. ის 21 წლის იყო, როდესაც დაემშვიდობა მშობლიურ ქალაქს და თბილისში ჩამოვიდა.

ორივე პოეტმა უმღერა თბილისქალაქის მშვენიერებას, რის ორ პატარა მაგალითადაც გამოდგება მათი ლექსები: „ტრიოლეტები შეითანბაზარში“ (ი. გრიშაშვილი) და „რუსთველის პროსპექტი“ (ლ. ასათიანი). ამავე ლექსებში ჩანს მათი დამოკიდებულება ქართული პოეზიისა და მისი წარმომადგენლების მიმართ. ორივე პოეტი იყენებს ისეთ ხერხს, რომ ერთდროულად თბილისსაც უმღერის და გარდასულ დღეთა შემოქმედთაც. ი. გრიშაშვილი თავის პოეტურ გემოვნებას გამოხატავს, როდესაც პირდაპირ უარყოფს ბესიკის რითმას: „არ მომწონს რითმა ბესიკისა: „გაზი“ თუ „რაზი“. სამაგიეროდ, იქვე აცხადებს:

„მომწონს მაჯამის ამირბარი თეიმურაზი
და შოთას სიტყვის ჰარამხანას
ვდარაჯობ მარად.“

ლადო ასათიანის ლექსში ერთდროულად თბილისის მშვენება, რუსთაველის პროსპექტი და ქართველ პოეტთა მეფე შოთა რუსთაველია ხოტბაშესხმული. თავისი წინამორბედისაგან განსხვავებით, რომელიც, შეითანბაზარს გაცდენილი, თათრის ფოლორცში „დაყიალობს გაღმა-გამოღმა“, პოეტი აცოცხლებს უფრო ახალი თბილისის პატარა ქუჩებს: ბესიკის, ჭავჭავაძის, ჩახრუხაძისა თუ შავთელისას და მკითხველს თვალწინ წარმოუდგება განუმეორებელი სილამაზე თბილისის ცენტრალური უბნისა, რომელიც ასე ხიბლავდა ლადოს. ცნობილია, რომ ის დროის უდიდეს ნაწილს რუსთაველზე სეირნობაში ატარებდა. მას „საკუთარი“ ჭადარიც კი ჰქონდა შერჩეული. აქ საუბრობდა მაშინდელ ქართველ პოეტებთან და აქვე იბადებოდა მისი ლექსებიც, ყოველ შემთხვევაში – განწყობა მაინც, რომელიც მერე სტრიქონებად იღვრებოდა; მაგრამ ლექსში „რუსთველის პროსპექტი“ თუმცა თბილისის ცენტრალური ნაწილის მშვენიერი ხედი იშლება, ის პოეტის მხატვრულ წარმოსახვას სხვა მიმართულებით წარმართავს. ლადო ასათიანი საგანგებოდ გამოკვეთს შოთა რუსთაველის დიდებასა და უბერებლობას – „მარადიულ ყრმობას“ და გამოხატავს თავის მრწამსს, რომ ყოველი ქართველი პოეტი უნდა ცდილობდეს დიდ გენიოსთან მიახლოებას, მიუხედავად იმისა, რომ მას შეიძლება ვერ გაუტოლდეს:

„ყოველი ქუჩა კაცის თვალებით
მოდის აქეთკენ და გზას უნდება,
მოვა, შეხედავს მას მოკრძალებით
და მერე ისევ უკან ბრუნდება.“

იოსებ გრიშაშვილისა და ლადო ასათიანის თავისებური სიყვარული თბილისისა და ქართული პოეზიის მიმართ, როგორც ჩანს, განაპირობა იმ გარემომ, რომელშიც ისინი აღიზარდნენ, ახალგაზრდობაში მიღებულმა შთაბეჭდილებებმა და მსოფლმხედველობამ.

ანა ანთიძე
21-ე საჯარო სკოლის
VIII კლასის მოსწავლე

„ტრიოლეტები შეითანბაზარში“ და „რუსთველის პროსპექტი“ იმის მაგალითია, თუ როგორ შეიძლება ეთაყვანებოდნენ ქართველი პოეტები ქართულ კულტურასა და „ირაკლივით“ მუდამ მშფოთვარე ან არისტოკრატიული სიდინჯით ამაღლებულ თბილისს და რა განსხვავებული შეიძლება იყოს მათი განცდა და სიყვარული, მათივე გემოვნებიდან გამომდინარე.

ბუკინისტი

სალომე კოგიძე
21-ე საჯარო სკოლის
VIII კლასის მოსწავლე

პრაღის ერთი პატარა ქუჩის კუთხეში ძველი წიგნის მაღაზიაა, ხის მინიანი კარით, დიდი ვიტრინებითა და ხის დარაბებით. ქუჩა ხალხის სიმრავლით არ გამოირჩევა, ამიტომ ამ წიგნის მაღაზიას მყიდველი იშვიათად ეწვევა ხოლმე. ეს ალბათ იმით არის გამოწვეული, რომ მაღაზიის მეპატრონე ახალი „ბესტსელერებით“ კი არა, ძველი და ძვირფასი, უნიკალური წიგნებით ვაჭრობს.

ჭერამდე ასული თაროები სავსეა ათასგვარი ძველებური წიგნით. ზოგი ტყავის ყდიანია, ზოგი – ხავერდისა, ზოგიც თავისსავე ყუთშია შენახული. უმეტესობა უცხოურია და ძალიან ძველი.

მაღაზიის მეპატრონე, ბატონი ისააკი, სამოცდაათიოდე წლის ტანმორჩილი მოხუცია, სუფთად ჩაცმული. თეთრი წვერი დანაოჭებულ სახეს უმალავს, ხოლო შავი ბერეტი – ნახევრად მელოტ თავს, ძველებური სათვალის თხელი ლინზების მიღმა კი საოცრად მკვირცხლი და ცისფერი თვალები იმალება. დღესაც, როგორც ყოველთვის, იგი თავის ხის სკამში მოქანავე თვლემს, ხან კი ცალი თვალით გახედავს ქუჩაში გამვლელ-გამომვლელს.

მზის შუქი მაღალი შენობებისა და ეკლესიების სახურავებიდან ქალაქის ქუჩებშიც ჩაცურდა, ჩაცურდა და მაღაზიის ვიტრინაშიც შეიჭრა... პატარა მინებიანი კარადის თაროზე მაშინვე აკიაფდა ჯიბის წიგნი. ეს ბუკინისტს არ გამოჰპარვია და ისედაც ჩაცვენილი თვალები უფრო დამალა წარბებქვეშ.

ოქროსყდიანი წიგნი ისააკ შილერმანმა პირველად 1942 წელს ნახა, მაშინ, როცა ის და მისი თანამებრძოლები ერთდროულად უძლებდნენ ფაშისტებისა და წვიმის შემოტევას. სანგარში თითქმის მუხლებამდე იდგა წყალი. გერმანელების უმიზნო ცეცხლი წუთითაც არ წყდებოდა. ყველა ჩუმად იყო. მხოლოდ აქა-იქ თუ გაისმოდა დაჭრილის გულსაკლავი კვნესა, თავისუფლების სახელით დაცემულ მებრძოლთა უკანასკნელი სიტყვები. სწორედ ასეთი კვნესა გაისმა შილერმანის ყურთან. იგი უცებ გამოფხიზლდა, თვალები გაახილა და გვერდით უსულოდ დაცემული თანამებრძოლი დაინახა. შილერმანი მეგობარს მივარდა, წამოსწია, მუნდირი გაუხსნა, ჭრილობიდან მომავალი სისხლის შესაჩერებლად იარა ხელებით დაუფარა, მაგრამ – უშედეგოდ. მისი მეგობარი, რომელსაც ყველა ტარიელს ეძახდა, უკვე მკვდარი იყო. მის უსიცოცხლო, ჯერ კიდევ თბილ ხელებში შილერმანმა ოქროსფერი წიგნი შენიშნა, რომლის ფურცლებზეც ლამაზთვალება ქალი დაინახა. მისი წამწამები არწივის გაშლილ ფრთებს ჰგავდა. ამ მოგონებამ ბატონ შილერმანს თვალები ცრემლით აუვსო. უცებ კარი გაიღო. შილერმანი სწრაფად გამოერკვა და იკითხა:

– რა გნებავთ, ახალგაზრდა?!

– ოქროს წიგნი, – მოესმა ახალგაზრდის უხეში აქცენტით ნათქვამი ფრაზა.

შილერმანის წინ იდგა სუფთად ჩაცმული შავთმიანი ვაჟი, რომელიც ძალიან ჰგავდა ტარიელს.

– არ იყიდება! – უპასუხა შილერმანმა.

– ძალიან გთხოვთ, სერ... იგი ჩემთვის...

– ძალიან ძვირფასია, – აღარ დააცადა სიტყვის დამთავრება შილერმანმა, – ყველა ასე ამბობს.

– ხო, მაგრამ „ვეფხისტყაოსანი“ ხომ...

– როგორ? – თვალები აენთო შილერმანს.

– „ვეფხისტყაოსანი“, ქართული პოემა, – უპასუხა ახალგაზრდამ ამაყად.

რამდენიმე წუთის შემდეგ ახალგაზრდა ქართველი სტუდენტი და მოხუცი ბუკინისტი ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ ძველ სავარძლებში. ახალგაზრდა კითხულობდა დიდი სიამაყით, ხოლო მოხუცი ტიროდა და ცრემლებს უხეში ხელებით იწმენდდა.

ინფორმაცია

* * *

ბრიტანეთის საბჭოს ორგანიზებით, თემაზე „ინგლისური ენა და საერთაშორისო კვალიფიკაცია – გზა პერსპექტიული მომავლისკენ“ კონფერენცია გაიმართა. კონფერენციის მიზანი საგანმანათლებლო დარგში მოღვაწე პოლიტიკის გამტარებლების, ინგლისური ენის სპეციალისტებისა და სერვის პროვაიდერებისთვის ბრიტანეთის საბჭოს ინგლისური ენისა და საერთაშორისო გამოცდების პროგრამების გაცნობა იყო. კონფერენციას ბრიტანეთის საბჭოს დირექტორი **ანდერსონი** უძღვებოდა. მის მუშაობაში ასევე მონაწილეობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ნოდარ სურგულაძე**.

საქართველოს პრეზიდენტმა **მიხეილ სააკაშვილმა**, 2010 წლის გაეროს ასამბლეაზე თავის ოფიციალურ გამოსვლაში, ინგლისური ენის სწავლების ნოვატორული პროგრამა წარმოადგინა, რომლის „მიზანია ახალგაზრდა თაობას ფართოდ გაუხსნას გზა პერსპექტიული მომავლისაკენ“. 2011 წლის სექტემბრის ოფიციალური სამთავრობო დადგენილების ფარგლებში, ყველა უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულთათვის უცხო ენაში გამოცდის ჩაბარება სავალდებულო გახდება.

ამ ფონზე, ბრიტანეთის საბჭოს მდიდარი გამოცდილება აქვს ინგლისური ენის სწავლების და საერთაშორისო გამოცდების სფეროში. ამჟამად, ბრიტანეთის საბჭო წელიწადში დაახლოებით 350-ზე მეტ ინგლისური ენის მასწავლებელსა და 10,000-მდე შემსწავლელს უტარებს როგორც ონლაინ, ასევე ინტერაქტიულ ტრენინგს. საბჭო ასევე ინგლისურ ენაში წელიწადში 3000-მდე საერთაშორისო გამოცდას ატარებს.

ბრიტანეთის საბჭო დიდი ბრიტანეთის წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციაა განათლებისა და კულტურული ურთიერთობების განვითარების სფეროებში. მისი საქმიანობის არეალი მსოფლიოს 110 ქვეყანას მოიცავს. საქართველოში მოქმედი ბრიტანეთის საბჭო ხელს უწყობს დიდ ბრიტანეთსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის განმტკიცებას.

უნივერსიადა

გრძელდება სტუდენტური უნივერსიადა - „საუნივერსიტეტო რომპეტროლიადა – 2011“. ამჯერად ასპარეზობები უნივერსიადის პროგრამაში შეტანილი 20 სახეობიდან კიდევ რამდენიმეში – მაგიდის ჩოგბურთში, ტყვიის სროლაში, ცურვაში, ქართულ ჭიდაობაში, ძიუდოში, თავისუფალსა და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობებში გაიმართა.

ჩოგბურთელთა შეჯიბრებას საქართველოს უნივერსიტეტმა უმასპინძლა. სპორტის ეს სახეობა საქართველოში საკმაოდ პოპულარულია, თუმცა ბათუმი ყოველთვის გამოირჩეოდა და ახლაც იქაურებმა იყოჩაღეს – გოგონებმა და ვაჟებმა, ჯამში მედლების ნახევარი ანუ 3 მოიპოვეს. აღსანიშნავია, რომ ფინალში მხოლოდ ვაჟთა წარმომადგენელმა, საზღვაო აკადემიის სტუდენტმა **სერგო პეტრიძემ** იმარჯვა – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტ **დავით დავითიძეს** აჯობა და ჩემპიონი გახდა. მესამე საპრიზო ადგილზე **გურამ ჭრიკიშვილი** (სეუ) გავიდა.

გოგონების ტურნირში ფინალში გამოსვლის უფლება ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა **ნონა მარქარიანმა** და თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენელმა **მარიამ გოგოჭურმა** მოიპოვეს. ამჯერად გამარჯვება თბილისელს დარჩა, ბრინჯაოს მედალი კი კიდევ ერთმა ბათუმელმა, მარქარიანის თანაუნივერსიტეტელმა **მაია ბარამიძემ** მოიპოვა.

ტყვიის მსროლელები ვაკეში, სპორტის სამინისტროს შენობაში მდებარე, ნინო სალუქვაძის სახელობის ტირში შეიკრიბნენ, რადგან საქართველოში სხვა ბაზა არცაა. რომ არა ოლიმპიური ჩემპიონის მონდომება, არც ეს გვექნებოდა – რამდენიმე წლის წინ სალუქვაძემ სოლიდური ინვესტიცია ჩადო ტირის მოწყობაში. ნაწილობრივ ეს ხელისუფლების უშედეგო დაპირებებმაც განაპირობა – სალუქვაძეს მოსწყინდა შეუფერებელ ტირში, პრაქტიკულად, ნესტიან სარდაფში ვარჯიში და შედეგად ქართულმა სპორტმა კეთილმოწყობილი ბაზა მიიღო. თანაც, ისეთ სახეობაში, სადაც არენების დიდი დეფიციტია. ცუდი მხოლოდ ისაა, რომ ესეც დახურული ტირია, მხოლოდ 10-მეტრიანი, სპორტის ამ სახეობაში კი ღია არენა აუცილებელია (პნევმატური პისტოლეტის გარდა, იქ სხვა დისციპლინებში ვერ ივარჯიშებენ). თუმცა, სპორტული პისტოლეტიდან სროლა იმდენად თავისებურია, ამ დისტანციაზე თავად სალუქვაძის გარდა, თითქმის არავინ ვარჯიშობს. უნივერსიადაც მხოლოდ პნევმატურიდან სროლაში ჩატარდა, მონაწილეთა უმრავლესობაც ამავე ტირის წარმომადგენელი იყო. გოგონებშიც იქაურმა სპორტსმენმა იმარჯვა – **მერი ქადაგიძემ**, რომელიც ილიას უნივერსიტეტში სწავლობს, სპორტში კი საქართველოს ეროვნული ნაკრების კანდიდატია. ვერცხლის მედალი თსუ-ელმა **მარიამ ლამბაშიძემ** მოიპოვა, ბრინჯაო – **ანა გაგნიძემ,** საქართველოს უნივერსიტეტიდან.

ვაჟებში სამხატვრო აკადემიის სტუდენტმა **ჯუმბერ ოქრუაშვილმა** გაიმარჯვა, მეორეზე (ტყვიის სროლაში) საქართველოს ჩემპიონი ახალგაზრდებში ქუთაისელი **შოთა გირგვლიანი** გავიდა, მესამეზე – **ომარ სანოძე,** სტუ-დან.

ტრადიციულად, დიდი ინტერესი გამოიწვია მოჭიდავეთა და ძიუდოისტთა ასპარეზობამ და აქ მონაწილეც ბევრი მოგროვდა. მათ შორის მრავლად იყვნენ ქვეყნის სხვადასხვა ნაკრებების წევრ-კანდიდატები, რამაც შეჯიბრებათა დონეზეც იმოქმედა და უდავოდ აამაღლა მათი დონე.

„თავისუფალსა“ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობებში შეჯიბრებები შეკვეცილი ფორმატით ჩატარდა – ორივე სახეობაში, სულ შვიდ წონით კატეგორიაში. ჩემპიონები კი, „თავისუფალთაგან“ გახდნენ: **გიორგი კაციტაძე** (60, აგრარული უნივერსიტეტი), **კონსტანტინე გავაშელი** (66, სტუ), **რევაზ ივანიშვილი** (74, აგრარული უნივერსიტეტი) და **გოჩა ლომთათიძე** (ილიას უნივერსიტეტი); „ბერძენ-რომაელთაგან“ – **გიორგი დათუნაშვილი** (74, სტუ), **რუდოლფ ოგანეზოვი** (84, სტუ) და **გოჩა დავითაძე** (96, ილიას უნივერსიტეტი). „თავისუფლებში“, გუნდურ ჩათვლაში აგრარულმა უნივერსიტეტმა გაიმარჯვა, მეორეზე სტუ გავიდა, მესამეზე – ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სამაგიეროდ, ბათუმელებმა მოიგეს გუნდური შეჯიბრება „ბერძენ-რომაელთა“ შორის, სადაც ვერცხლი ილიას უნივერსიტეტს ერგო, ბრინჯაო – სტუ-ს.

ძიუდოში შეჯიბრების ყველა წონაში გამართვა იგეგმებოდა, მაგრამ გლდანის ოლიმპიური მზადების ცენტრში გამართულ შეჯიბრებაზე უსიამოვნო ინციდენტი მოხდა, რამაც ტურნირის მეორე ნაწილი შეიწირა და დარჩენილი სამი წონის შეხვედრები მომდევნო დღეებში ჩატარდება! არადა, ცნობილ ფალავანთა სიმრავლით ეს ტურნირი კიდევ უფრო გამორჩეული იყო, თუმცა, რაც ყველაზე საყურადღებოა, იმათგან ვერც ერთი ვერ გახდა ჩემპიონი. მაგალითად, ეროვნული ნაკრების წევრი, ევროპის პირველობაზე ნაჭიდავები და თბილისის მსოფლიოს თასის ბრწყინვალედ მომგები **ამბაკო ავალიანი** (81, აგრარული უნივერსიტეტი) ფინალში გორის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტ **დავით კარბელაშვილთან** დამარცხდა, რომელმაც, ამ წონაში, ბოლო ხანებში, გარკვეული იმედი ჩაგვისახა. წლევანდელ ევროპირველობაზე მანაც იჭიდავა და არცთუ ცუდად, ავალიანზე კი დავამატებთ, რომ ის 73-ში გამოდის, მაგრამ ამჯერად წონა არ დაიკლო. ასევე საინტერესო იყო 60-ში ახალგაზრდებში ევროპის ორგზის ჩემპიონ **პაატა მერებაშვილისა** (გორის სასწავლო უნივერსიტეტი) და ახალგაზრდებში ევროპის ბრინჯაოს მედალოსან **გიორგი ბროლაშვილის** (სტუ) შეხვედრა, რომელიც უფრო გამოცდილმა მერებაშვილმა მოიგო. ძიუდოს ქომაგისთვის საკმაოდ კარგადაა ცნობილი ძიუდოს ტურნირის კიდევ ორი ჩემპიონი – **გიორგი შოშიაშვილი** (66, თსუ) და **ბეთქილ აფრასიძე** (73, ილიას უნივერსიტეტი).

საკმაოდ ბევრი ცნობილი ახალგაზრდა ფალავანი გამოვიდა ქართულ ჭიდაობაშიც, სადაც გუნდური პირველობა აგრარულმა უნივერსიტეტმა მოიგო. მეორე შედეგი სტუ-ს აღმოაჩნდა, მესამე – ილიას უნივერსიტეტს. პირად პირველობაში ჩემპიონები გახდნენ: **გიორგი ტყემალაძე** (60, სტუ), **იაკობ ჩარკვიანი** (70, აგრარული უნივერსიტეტი), **თორნიკე ჯუღელი** (75) სტუ), **გიორგი ბიჩელაშვილი** (80, სოხუმის უნივერსიტეტი), **პაატა აბულაძე** (90, აგრარული უნივერისტეტი) და **ბექა ბერძენიშვილი** (+90, მცირე აკადემია).

მოცურავეთა შეჯიბრებას, 17-18 მაისს, „ოლიმპიკის“ საწყლოსნო კომპლექსმა უმასპინძლა. ვაჟებში განსაკუთრებით ისახელა თავი საქართველოს ნაკრების წევრმა **გიორგი მთვრალაშვილმა** (საავიაციო), რომელმაც სამი ოქრო მოიპოვა – 50 მეტრზე ბატერფლაით, 50-ზე – გულაღმა და 100 მეტრზე – კომპლექსურ ცურვაში. ორი ოქრო ირგუნა ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტის წარმომადგენელმა **ეკატერინე კაჭახიძემ** – 50 მეტრზე თავისუფალი და ბრასის სტილით ცურვაში. დანარჩენ დისტანციებში, 50 მეტრზე, ვაჟებში „თავისუფლად“ ცურვაში ილიას უნივერსიტეტის სტუდენტმა **გიორგი ბუხრიკიძემ** იყოჩაღა, ბრასით 50-მეტრზე კი – სამედიცინოს სტუდენტმა **ილია მანჯავიძემ**.

სადღეისოდ უნივერსიადას საერთო გუნდურ ჩათვლაში სტუ ლიდერობს როგორც მედლების რაოდენობით, ისე ოქროებით. მათ ანგარიშზე 22 ჯილდოა. აქედან – 7 ოქრო, 9 ვერცხლი და 6 ბრინჯაო. მეორე ადგილზე, 16 მედლით, ილიას უნივერსიტეტია – 6-6 ოქრო-ვერცხლი და 4 ბრინჯაო. მესამე საფეხურზე, ჯერჯერობით, აგრარული უნივერსიტეტია 15 ჯილდოთი – 5 ოქრო, 3 ვერცხლი და 7 ბრინჯაო.

ოლიმპიური გამოწვევა გორში

14-15 მაისს გორმა მეორედ უმასპინძლა „ოლიმპიური გამოწვევის“ ტურნირს ჭაბუკ ძიუდოისტთა შორის, რომელიც იქაურთა სახელოვანი ფალავანის, ყოფილ საბჭოთა კავშირში პირველი ოლიმპიური ჩემპიონის – შოთა ჩოჩიშვილის სახელს ატარებს. მისასალმებელია, რომ ქვეყანაში ამ სახის შეჯიბრებები სულ უფრო აქტუალური ხდება სპორტის სხვადასხვა სახეობებში, ხოლო ძიუდოსა და ჭიდაობაში – მით უფრო. თანაც, თუ ეს შეჯიბრება ჭიდაობის ისეთ მექაში ტარდება, როგორიც გორია. ამას საქართველოში ძიუდოს ერთ-ერთი ფუძემდებლის, **გურამ პაპიტაშვილის** (ესწრებოდა შეჯიბრებას) სახელობის დარბაზის სავსე ტრიბუნებიც ადასტურებს – ტურნირმა სრული ანშლაგით ჩაიარა.

„ოლიმპიური გამოწვევა“ არა მხოლოდ ვაჟებს, არამედ გოგონებს შორისაც გაიმართა. მასში საქართველოს 10-ზე მეტი ქალაქის გუნდი მონაწილეობდა, თუმცა, იყვნენ აზერბაიჯანელი სტუმრებიც. იქაურები გორს ხშირად სტუმრობენ შეკრებების გასავლელად, ამჯერად კი, ერთობლივი წვრთნები შეგნებულად დაამთხვიეს ამ შეჯიბრებას. ისინი ორი კლუბით იყვნენ წარმოდგენილნი და მხოლოდ ვაჟების ტურნირში იასპარეზეს დიდი წარმატებით – პირველ დღეს გამართულ ხუთივე წონით კატეგორიაში გაიმარჯვეს. აღსანიშნავია, რომ იმ დღეს მხოლოდ მჩატე წონების წარმომადგენლები ჭიდაობდნენ, აზერბაიჯანულ ძიუდოს კი, მთავარი მიღწევები სწორედ დაბალ წონებში აქვს, მძიმეებში კი შედარებით უჭირს. ამჯერადაც ასე მოხდა – მეორე დღეს მძიმე წონებში შედარებით გაუჭირდათ, თუმცა ერთი ფინალისტი იქაც ჰყავდათ, ერთ-ერთ წონაში ბრინჯაოც მოიპოვეს.

გოგონებს შორის გაიმარჯვეს: მესტიელმა **ეთერ ლიპარტელიანმა** (40), თბილისელებმა – **მზია ბებოშვილმა** (44), **სალომე აბაშიძემ** (48), **მარი ჯანაშვილმა** (57), აჭარელმა **გურანდა შოთაძემ** (52) და გორელმა **ანი მინდიაშვილმა** (მძიმე). მასპინძელთა გასახარად, მძიმე წონაში გორელთა ფინალი გაიმართა – მინდიაშვილმა **ნათია ყავრელიშვილი** დაამარცხა. ჩემპიონთა უმრავლესობა საქართველოს 16-წლამდლთა ნაკრების წევრია – ჯანაშვილი, მინდიაშვილი, შოთაძე – თუმცა, ჯერჯერობით, ყველაზე წარმატებული მაინც ჯანაშვილია – წლეულს ანთალიაში ევროპის ჭაბუკთა თასი მოიგო.

როგორც გითხარით, ვაჟების ტურნირში აზერბაიჯანელებმა 5 ოქრო დაისაკუთრეს. ჩემპიონები გახდნენ: **ასიმან რაგიმოვი** (38), **მეხტი ასკეროვი** (42), **არიფ გასიმოვი** (46), **კამილ ჯაბაევი** (50) და **რაუფ ხალილოვი** (54). მასპინძლებს 4 ოქრო დარჩათ – საგარეჯოელ **სიმონ მამარდაშვილს** (60), ლენტეხელ **მათე ბენდელიანს** (66), გორელ **დიმიტრი წურიაშვილს** (73) და მცხეთელ **თედო წოწინაშვილს** (მძიმე).

სტუდენტური დღეები-2011

18-22 მაისს, ვაკის პარკში, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, „სტუდენტური დღეები-2011“ იმართება. წლევანდელ ფესტივალში ქვეყნის 30-მდე უმაღლესი სასწავლებელი მონაწილეობს, პროგრამაში კი, სხვადასხვა სახის კულტურულ-შემეცნებით გასართობ ღონისძიებებთან ერთად, სპორტული ასპარეზობებიცაა შეტანილი. ფესტივალის მიზანი სტუდენტების ერთმანეთთან დაახლოება და მათი ნიჭის, შესაძლებლობების წახალისებაა. დაწესებულია 27 ნომინაცია, მათ შორის, ცხადია, წმინდა სპორტულებიც. ფესტივალი 18 მაისს მოძრაობის თეატრისა და ჯგუფ „მგზავრების“ კონცერტით გაიხსნა, ასპარეზობა-კულტურული ღონისძიებები კი 19 მაისიდან დაიწყო.

უნიბურთის ჩემპიონატი

საქართველოს საუნივერსიტეტო საფეხბურთო ლიგის (უნიბურთი) გათამაშება დასასრულს უახლოვდება – უკვე გაიმართა 6 ტურის შეხვედრები და დარჩა მხოლოდ ბოლო ტურის მატჩები. სადღეისოდ გარკვეულია, რომ ჩემპიონობისთვის მხოლოდ ორი გუნდი იბრძოლებს – სტუ და თსუ, რომლებსაც 15-15 ქულა აქვთ და მთელი 5 ქულით უსწრებენ მესამეზე მყოფ ილიას უნივერსიტეტს. VI ტურის წინ საჩემპიონო შანსებს ესენიც ინარჩუნებდნენ, ვიდრე ტექნიკოსებმა 4:2 არ მოუგეს. არსებითად, ტექნიკოსებმა ამით ერთ-ერთი მთავარი კონკურენტი ჩამოიშორეს, მაგრამ, ჯერჯერობით, ბურთებით კვლავაც ჩამორჩებიან თსუ-ს. თავის მხრივ, თსუელებმა სოხუმის უნივერსიტეტს აჯობეს დამაჯერებლად – 3:0. ამ ტურში სენსაცია არ მომხდარა, მაგრამ დიდი ანგარიში კი დაფიქსირდა. ამ მხრივ, უფრო ორი აკადემიის შეხვედრა გამოირჩა – შსს-მ 10:2 მოუგო სამხატვროს, რომელმაც გათამაშებაში ყველა თამაში წააგო და ჯერ ქულა არ მოუპოვებია. „კავკასიამ“ სამედიცინოს 7:4 სძლია.

ამდენად, ჩემპიონის ვინაობა ბოლო ტურში გაირკვევა, პირველობის დასრულების შემდეგ კი, ეს რვა გუნდი უნიბურთის თასსაც გაითამაშებს.

ორი მოგება ბაქოში

ბაქოში შეკრებაზე იმყოფებოდა 16-წლამდელ ფეხბურთელთა გუნდი, რომელმაც ადგილობრივ თანატოლებთან ორი საკონტროლო შეხვედრა გამართა და ორივე მოიგო. თავდაპირველად **გელა შეყილაძის** გაწვრთნილებმა, **რომან ჭანტურიას**, **ცოტნე მესხისა** და **ლუკა ზარანდიას** გოლებით, 3:1 იმარჯვეს, მეორე ორთაბრძოლა კი, ჭანტურიას დუბლით, 2:1 მოიგეს.

კრივი და ჭაბუკები ბაქოში

ბაქოში, ჰეიდარ ალიევის სახელობის საერთაშორისო ტურნირში, წარმატებით გამოვიდნენ ქართველი ჭაბუკი მოკრივეები. შეჯიბრებაში 15 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ქართველმა სპორტსმენებმა 5 მედალი მოიპოვეს: 2 ვერცხლი და 3 ბრინჯაო. ვიცე-ჩემპიონები **ჯემალ შალამბერიძე** (60) და **ირაკლი ქათამაძე** (70) გახდნენ, მესამე ადგილზე გავიდნენ: **დიმიტრი კოპაძე** (63), **ვასილ წიწილაშვილი** (75) და **ლაშა ღვალაძე** (80).

რუბრიკას უძღვება
ირაკლი თავაძე

„ახალი განათლების“ წიგნის თაროდან

სიახლე!



მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია

პირველად საქართველოში, მსოფლიოს ისტორიის ენციკლოპედია გლობალურ კონტექსტში, უნიკალური ილუსტრაციებით, რუკებითა და ფოტომასალით.

ეს წიგნი თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე და ერთადერთი ქართული გამოცემაა, რომელშიც მკითხველი გაეცნობა უამრავ საკვირველ და თანაც ნამდვილ ამბებს ადამიანებზე, ქვეყნებსა თუ მოვლენებზე, რომელთა წყალობითაც შეიქმნა ის მრავალფეროვანი სამყარო, რომელშიც დღეს ვცხოვრობთ.

ეს წიგნი დაგეხმარებათ სხვადასხვა ქვეყნის ისტორიულ, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ პროექტებზე მუშაობისას, რადგან აქ მსოფლიოს ისტორიის თითოეული ეტაპი ამა თუ იმ ქვეყანასთან, კონტინენტებთან მიმართებაში დაწვრილებით, თემატურადაა განხილული – დასაბამიდან დღემდე – ქვის ხანის ადამიანებიდან რუსეთ-საქართველოს ომით დამთავრებული.

წიგნი გამოცემულია უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე და მთელ მსოფიოში უნიკალურ სამაგიდე წიგნადაა აღიარებული.

ზომა: A4, 496 გვერდი, მაგარ ყდაში, სუპერგარეკნით.

საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია



წიგნში მოცემულია 1000-ზე მეტი ფერადი ილუსტრაცია. გაეცნობით ძუძუმწოვრების, ფრინველების, ქვეწარმავლების, ამფიბიების, ობობების და სხვა უხერხემლოების შესახებ ბევრ საინტერესო ინფორმაციას. წიგნი შედგენილია ექსპერტთა ჯგუფის მიერ.



ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია

მოიცავს ყველა ძირითად ეტაპს ხელოვნებაში, რენესანსიდან დაწყებული XX საუკუნის მასკულტურით დამთავრებული. ტექსტითა და უხვი ილუსტრაციებით, მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის დიდ მხატვრებსა და ხელოვნებაში ახალ მიმდინარეობებზე. კონკრეტული მხატვრების ნამუშევრები ანალიტიკურ მოდულებშია გამოყოფილი, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს უფრო საფუძვლიანად გაეცნოს და დააფასოს მათი უაღრესად მრავალფეროვანი ტექნიკა. წიგნში მოთხრობილია ხელოვნებაში წლების წინ დამკვიდრებული თემებისა და ჟანრების შესახებ, როგორიცაა შიშველი ფიგურა, ნატურმორტი, პეიზაჟი, ქალაქური ცხოვრება და სხვ.

ვაცნობიერებთ რა ამ ენციკლოპედიების მნიშვნელობას სკოლებისა და პედაგოგებისთვის გთავაზობთ გრანდიოზულ ფასდაკლებას:

მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია – 35 ლარი
საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია – 26 ლარი
ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია – 30 ლარი

ხელმოწერის თანხა უნდა ჩარიცხოთ
30 მაისამდე

გადმორიცხვისას აუცილებლად მიუთითეთ ქალაქი, რაიონი, სოფელი, სკოლა, სახელი და გვარი.

შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!

მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
95 80 23; 890 95 80 23; 877 13 22 83.

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ს/ს„ლიბერთი ბანკი“, ბ/კLBRTGE22, ა/აGE93LB0113314052305000

ჯეგროვნიერთდით!

სიახლე!

გამოვიდა „მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსების“ სერიიდან სამი ახალი ტომი:

ფიოდორ დოსტოევსკი – „მკვდარი სახლის ჩანაწერები“
სტენდალი – „წითელი და შავი“
შოდერლო დე ლაკლო – „სახიფათო კავშირები“

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“
ერთი ტომი – 12 ლარი

„რა არის რა“ ერთი ტომი – 11 ლარი

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba
რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის რეკვიზიტებია: საქართველოს ბანკი ბ/კ BAGAGE22, ს/კ 202058735, ა/ა 123631000

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

C M Y K